პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
გამოცემის 31-ე წელი

პარასკევი, 1 ივნისი, 1951 წ. № 127 (8981). ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გაზეთში:

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე—მოწინავე (1-ლი გვერდი).
რუსთავის ახალმშენებლობებზე (1-ლი გვერდი).
ჭიათურელი მაღაროელები იბრძვიან ახალი ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენებისათვის (მე-2 გვერდი).
ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ბავშვების დასაცავად! (მე-2 გვერდი).
ფართოდ დავნერგოთ მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია (მე-2 გვერდი).
იქ, სადაც ბატონობს კაპიტალი (მე-3 გვერდი).
ბავშვები ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია (მე-3 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
იტალიაში თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგები (მე-4 გვერდი).

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

დღეს მთელი მოწინავე კაცობრიობა აღნიშნავს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს. ეს დღე პირველად შარშან აღინიშნა მსოფლიოს 51 ქვეყანაში ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებით. მან დიდად შეუწყო ხელი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლის გაძლიერებას, პროგრესულ ძალთა დარაზმვას ბავშვთა დასაცავად.

წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნება მშვიდობისათვის ბრძოლის შემდგომი გაძლიერების ნიშნით, საბრძოლო ლოზუნგით: კაცობრიობა ვიხსნათ ახალი მსოფლიო ომის საშიშროებისაგან, დავიცვათ ბავშვთა სიცოცხლე!

ერთი საუკუნის წინათ მეცნიერული სოციალიზმის ფუძემდებლები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი შეჰხაროდნენ იმ ეპოქას, როდესაც შესაძლებელი იქნებოდა „ყოველი ბავშვის საზოგადოებრივი და უფასო აღზრდა“.

დადგა ეს სანატრელი დრო, მაგრამ იგი დადგა ჯერჯერობით მხოლოდ საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებული სხვა ქვეყნების მშრომელებისათვის.

გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბავშვები მსოფლიოში ყველაზე ბედნიერი ბავშვები არიან. საბჭოთა ხალხი, ლენინ-სტალინის პარტია, პირადად დიდი სტალინი მუდამ ზრუნავენ მომავალი თაობის აღზრდის საქმისათვის. ჩვენს ქვეყანაში შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ აღვზარდოთ მხნე და ჯანსაღი, თავისი საქმის სიმართლეში და წარმატებაში დარწმუნებული, ყოველმხრივ განვითარებული კომუნისტური საზოგადოების მშენებელი თაობა. ქალაქები და სოფლები დაფარულია სკოლების ქსელით. განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება. გახსნილია ათასობით საბავშვო ბაგა და საბავშვო სახლი.

ახლა, როცა სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება, მოსწავლეები ემზადებიან აგარაკებზე გასამგზავრებლად. მრავალი მილიონი ბავშვი დაისვენებს წელს პიონერთა ბანაკებში. იქ ისინი მხიარულად გაატარებენ დროს, დასტკბებიან ჩვენი ქვეყნის ბუნებისა და დოვლათის სიუხვით, დაისვენებენ კულტურულად, რომ შემდეგ ბეჯითად განაგრძონ სწავლა.

მომავალი თაობისადმი სტალინურ მზრუნველობას მოწმობს ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაშლილი სასკოლო მშენებლობა და მოსწავლეთა რიცხვის სწრაფი ზრდა. ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში დაწყებით, არასრულ საშუალო, საშუალო სკოლებში და ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა რაოდენობა რვა მილიონით გაიზარდა და ახლა 37 მილიონს შეადგენს.

ბავშვთა აღზრდის საქმეს ჯეროვანი ყურადღება ექცევა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ქვეყნებმა, რომლებმაც დაამსხვრიეს მონობის უღელი და თავი დააღწიეს კაპიტალის ბატონობას, განახორციელეს აღზრდისა და განათლების სისტემის რეფორმა. პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, უნგრეთში, ალბანეთში სულ უფრო მეტი იხარჯება განათლების საქმეზე, ფართოვდება სასკოლო მშენებლობა, იზრდება მოსწავლეთა რიცხვი. მომავალი თაობის აღზრდის საქმეზე ზრუნავს მრავალმილიონიანი ჩინელი ხალხი. წინათ ჩინეთში განათლება რჩეულთა ხვედრი იყო. ახლა დაწყებით სკოლებში სწავლობს თექვსმეტი მილიონი მოსწავლე, ხოლო საშუალო სასწავლებლებში — მილიონზე მეტი ახალგაზრდა.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში. ამ ქვეყნებში გაბატონებული ექსპლოატატორები მომავალი თაობის აღზრდაზე როდი ზრუნავენ, მათ სურთ იაფი მუშახელი, მეტი მოგება, საზარბაზნე ხორცი, და არა განათლებული ადამიანი, შეგნებული მოქალაქე.

კაპიტალისტური სამყაროს ყველაზე მთავარ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში 1949 წელს სასკოლო ასაკის ექვს მილიონზე მეტ ბავშვს არ ჰქონდა სწავლის შესაძლებლობა. ამერიკელი მონოპოლისტები ექსპლოატაციას უწევენ ბავშვთა შრომას. საწარმოო პროფკავშირთა კონგრესის ცნობით ამერიკის შეერთებულ შტატებში 1948 წელს ომამდელ 1940 წელთან შედარებით სამჯერ მეტი ბავშვი ეწეოდა ფიზიკურ შრომას. ამერიკელმა იმპერიალისტებმა, რომლებიც საომარი მზადებიდან პირდაპირ აგრესიაზე გადავიდნენ, შარშან სახელმწიფო ბიუჯეტის დაახლოებით 71 პროცენტი მოახმარეს სამხედრო ხარჯებს; განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმეზე კი ბიუჯეტის მხოლოდ 6 პროცენტი დახარჯეს. ამერიკის მშრომელთა ბავშვები მოკლებული არიან ბავშვობის სიხარულს. სიღატაკე და შიმშილი აიძულებს მათ დაიწყონ ფიზიკური შრომა, გახდნენ კაპიტალის დაქირავებული მონები ან დაადგნენ ქურდ-ბაცაცობისა და ბოროტმოქმედების გზას. ამით აიხსნება, რომ დოლარების ქვეყანაში სულ უფრო იზრდება დამნაშავე ბავშვთა რიცხვი. ათასობით ბავშვი საპყრობილეში ატარებს ბავშვობის წლებს. ფაბრიკა-ქარხნებში ბავშვები ყოველდღე 12-13 საათს მუშაობენ. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკაში კიდევ გვხვდება ბავშვების გაყიდვის შემთხვევები.

უფრო მძიმეა ბავშვების ხვედრი ამერიკის შეერთებული შტატების სატელიტ ქვეყნებში, მათ შორის ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში და სხვა ქვეყნებში.

კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ზოგიერთ რაიონში ბავშვთა სიკვდილიანობა 70 პროცენტს აღწევს. ინდოეთში ყოველწლიურად მხოლოდ შიმშილით მილიონზე მეტი ბავშვი კვდება, სხვადასხვა გადამდები სნეულებით კი წელიწადში სამი მილიონი ბავშვი კვდება. ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, მალაიაში, ირანში 5-7 წლის ბავშვები იწყებენ ფიზიკურ შრომას. გაზეთ „ულუსის“ ცნობით, თურქეთის განათლების მინისტრმა მეჯლისში განაცხადა, რომ საშუალო სასწავლებლებში ომამდელ პერიოდთან შედარებით ერთისამად შემცირდა მოსწავლეთა რიცხვი.

ინგლისელ-ამერიკელმა იმპერიალისტებმა დიდი უბედურება დაატეხეს თავს ბერძენ ხალხს. ათასობით ბერძენი ბავშვი შიმშილმა და სიცივემ იმსხვერპლა, მრავალი ათასი ბერძენი ბავშვი უცხოეთში გადაიხვეწა. გათავხედებული ბერძენი მონარქისტ-ფაშისტები სასტიკად სდევნიან და ხვრეტენ ბერძენ პატრიოტებს.

ამერიკელი იმპერიალისტები ბარბაროსულად ბომბავენ კორეის მშვიდობიან ქალაქებსა და სოფლებს, ხოცავენ უდანაშაულო ბავშვებს. ამერიკელი აგრესორებისათვის არ არსებობს არავითარი მორალი. მათ მხოლოდ მსოფლიო ბატონობის გიჟური სურვილი ამოძრავებთ. მაგრამ მეოცე საუკუნის ბარბაროსების ყველა ღონისძიება განწირულია ჩასაფუშავად. კორეის სახალხო არმია ჩინელ მოხალისეებთან ერთად გმირულად იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს მესამე სესიამ, რომელიც წელს ბერლინში შეიკრიბა, მიიღო მიმართვა მსოფლიოს ქალებისადმი. მიმართვაში ნათქვამია:

„ახალი ომის საშიშროება, რომელიც კაცობრიობას ემუქრება, და ბავშვთა მდგომარეობის გაუარესება ავალებს მსოფლიოს ყველა ქალს, ყველა დედას მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებისა, რელიგიური რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა, დაირაზმონ ბავშვთა სიცოცხლის დასაცავად“.

მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანებს შეგნებული აქვთ მშვიდობისათვის ბრძოლის მნიშვნელობა ბავშვთა დაცვის საქმეში. ამიტომ ისინი კიდევ უფრო შეამჭიდროებენ თავიანთ რიგებს, ერთობლივი ღონისძიებებით გზას გადაუღობავენ ახალი ომის გამჩაღებლებს, გააჩაღებენ ბრძოლას ლოზუნგით:

— დავიცვათ მშვიდობა, დავიცვათ ბავშვთა სიცოცხლე!

რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია შეუდგა რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონების გამოცემას. ლექსიკონების მოცულობა განსაზღვრულია 60 ათასი სიტყვის რაოდენობით. თვითეული ლექსიკონი გამოვა 35 ათას ცალად.

ლექსიკონების პასუხისმგებელ რედაქტორად დამტკიცებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი პროფესორი გ. ს. ახვლედიანი.

რუსულ-ქართული ლექსიკონი გამოვა 1952 წლის მესამე კვარტალში, ქართულ-რუსული — 1953 წლის მესამე კვარტალში.

საქართველოს გამომცემლობათა წიგნის სავაჭრო გაერთიანება „საქწიგნი“ უახლოეს ხანში დაიწყებს ლექსიკონებზე ხელმოწერას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა დაგეგმა აგრეთვე „დიდი რუსულ-ქართული“ და „დიდი ქართულ-რუსული“ ოთხ-ოთხტომიანი ლექსიკონების შედგენა და გამოცემა.

„დიდი რუსულ-ქართული ლექსიკონის“ გამოცემა გათვალისწინებულია დამთავრდეს 1954 წელს, „დიდი ქართულ-რუსული ლექსიკონისა“ — 1956 წელს. (საქდესი).

ჩვენს რესპუბლიკაში

★ ★ ★

მოსავლის აღება დაიწყო

სიღნაღი. (საქ. კორ.). წნორის მტსის კომბაინერმა ნიკოლოზ ალადაშვილმა კომბაინ „სტალინეცით“ წნორის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში 28 მაისს აიღო 10 ჰექტარი ქერი. კოლმეურნეობამ ორი ტონა პირველი განალეწი მარცვლეული ჩააბარა სახელმწიფოს.

მოსავლის აღება დაიწყო აგრეთვე საქობოს კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობაში.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა

ყვარელი. (საქ. კორ.). კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ყაზანლიყის ვარდის კრეფის წლიური გეგმა, მოკრიფეს და ეთერზეთოვან ქარხანას ჩააბარეს 33,9 ტონა ყაზანლიყის ვარდი.

ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ გეგმის გადამეტებით 2 ათასი კილოგრამი ვარდი მოკრიფა, გავაზის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ — 500 კილოგრამი.

ყაზანლიყის ვარდის კრეფა გრძელდება.

ცხაკაია. (საქ. კორ.). ეთერზეთოვან კულტურათა ხორშის საბჭოთა მეურნეობაში დროზე დაიწყეს ძვირფასი სურნელოვანი ზეთის მომცემი კულტურის — ყაზანლიყის ვარდის კრეფა. გათვალისწინებული იყო 8,5 ტონა ვარდის მოკრეფა. ეს გეგმა ვადამდე შეასრულეს.

მეურნეობის კოლექტივი ახლა იბრძვის გეგმის გადამეტებით 5 ტონა ყაზანლიყის ვარდის მოკრეფისათვის.

აგრონომიული წრე

დუშეთი. (საქ. კორ.). ჰოპორტის სასოფლო კლუბთან არსებობს აგრონომიული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობს აგრონომი ვლ. იოსებაძე. წრეში 23 კოლმეურნე მეცადინეობს. მათ კარგად შეისწავლეს ხორბლეული კულტურების აგროტექნიკა და ვაზის მყნობის საქმე.

კოლმეურნეები: ვ. ალალოვი, ვ. ფრანგიშვილი, ვ. ვაჟიკაშვილი, გ. ჯაძაგლიშვილი და ს. გზირიშვილი პრაქტიკულ მუშაობაში იყენებენ წრეში მიღებულ ცოდნას. თვითეულმა მათგანმა წელს 500-650 ძირი ვაზი დაამყნო და გაახარა. აგრონომიული წრის მსმენელთა დახმარებით კოლმეურნეობაში დროზე და მაღალხარისხოვნად დამთავრდა ვაზის მყნობა.

სასადილოსა და მაღაზიის შენობა

ტყიბული. (საქ. კორ.). ტყიბულქვანახშირის ტრესტის კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ სტალინის სახელობის შახტში ააგო ორსართულიანი კაპიტალური შენობა.

შენობის ზედა სართულში ეწყობა მეშახტეთა კეთილმოწყობილი სასადილო, ქვედა სართულში კი სამრეწველო და სასურსათო საქონლის მაღაზია.

რუსთავის ახალმშენებლობებზე

კალატოზები

საქალაქო მშენებლობის სამმართველოს მეორე უბანს სათავეში უდგას ახალგაზრდა ინჟინერი შოთა ვაშაყმაძე. სამშენებლო უბანს დაკისრებული აქვს საპატიო ამოცანა—ააშენოს რუსთავის სამედიცინო ქალაქი.

სამედიცინო ქალაქი დაიფარება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელით. აქ იქნება საავადმყოფოს მთავარ და ინფექციურ განყოფილებათა კორპუსები, აბანო-სამრეცხაოს კომბინატი და სხვ. სამედიცინო ქალაქის ტერიტორიაზეა აგრეთვე სტადიონი, რომლის დასავლეთი ტრიბუნის აგება უკვე დამთავრებულია და მიმდინარეობს აღმოსავლეთი ტრიბუნისა და მთავარი შესასვლელის მშენებლობა.

საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების კორპუსისა და აბანო-სამრეცხაოს კომბინატის მშენებლობა ძირითადად დამთავრებულია. წარმოებს მოპირკეთების სამუშაოები. ამჟამად მთავრდება მთავარ კორპუსზე მეორე სართულის დაშენება. უახლოეს ხანში მესამე სართულის აშენებასაც შეუდგებიან. ამ სამუშაოებთან ერთად მეორე სამშენებლო უბანი აწარმოებს ქალაქის დამთავრებული კვარტალების კეთილმოწყობას.

მეორე სამშენებლო უბნის კოლექტივი ახალგაზრდა, მზარდი კოლექტივია. უბნის მშენებლებმა აპრილის გეგმა 180 პროცენტით შეასრულეს. უკეთესი მაჩვენებლები აქვთ მაისში.

ამ უბანზე მუშაობენ რუსთავის სახელმოხვეჭილი კალატოზები. საკმარისია დავასახელოთ ცნობილი კალატოზი, რუსთავის საქალაქო საბჭოს დეპუტატი გიორგი მაისურაძე.

ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქთან ერთად იზრდებიან მისი მშენებლებიც. გიორგი მაისურაძე ამ ორი წლის წინათ რიგით კალატოზად მოვიდა ახმეტის რაიონის სოფელ ჩაბინაანის კოლმეურნეობიდან.

— ჩაბინაანში კალატოზობა სასახელო ხელობად ითვლება, — გვიამბობს გ. მაისურაძე, — ბავშვობიდანვე მიტაცებდა სახლის აგება. კალატოზობა ერთ წელიწადში შევისწავლე. კოლმეურნეობაში ბრიგადირად ვმუშაობდი, ამავე დროს ვკალატოზობდი, საკოლმეურნეო ნაგებობებს ვაგებდი.

დიდი სამამულო ომის წლებში გიორგი მაისურაძე უკრაინის მიწა-წყალზე ჟლეტდა ფაშისტ დამპყრობლებს. გმირობისა და მამაცობისათვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვეს. მან თვითონ უშუალოდ ნახა მტრის მიერ დანგრეული ქალაქები და სოფლები. ამიტომაც ნაომარი ვაჟკაცი ახალი სახლების აგებას შეუდგა მთელი მონდომებითა და გატაცებით, ჩვენი მძლავრი სოციალისტური სამშობლოსათვის სიამაყის გრძნობით. სწორედ ასეთი ადამიანები სჭირდება რუსთავს!

პირველი დღეებიდანვე გიორგი მაისურაძე გეგმას 300-400 პროცენტით ასრულებდა. დღეში 5 კუბმეტრის ნაცვლად აწყობდა 15-20 კუბმეტრ ბლოკს. ერთი წელიწადი იმუშავა რიგით კალატოზად, შემდეგ ბრიგადირობა მიანდეს. ახლა მუშაობს ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამმართველოს სტახანოვური მეთოდების ინსტრუქტორად, ამავე დროს ასწავლის № 13 საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში.

გიორგი მაისურაძემ მრავალი ახალგაზრდა კალატოზი აღზარდა, მიაჩვია ისინი ჩქაროსნული მეთოდით მუშაობას. ახალგაზრდებს ის წინასწარ უმზადებდა სამუშაო ფრონტს, თვითონ პირად მაგალითს უჩვენებდა.

ახმეტის რაიონიდან გ. მაისურაძესთან ერთად რუსთავში ჩამოვიდნენ ახალგაზრდა კოლმეურნეები ივანე გაგიშვილი და აკაკი დიაკონაშვილი. მათ ხელობა არ იცოდნენ, მაგრამ კალატოზობა გიორგიმ შეასწავლა. ახლა ისინი მოწინავეთა რიგებში დგანან.

ახალგაზრდა კალატოზი აბრამ ჩიბირაშვილი, რომელმაც საფაბრიკო-საქარხნო სკოლა დაამთავრა, პირველ ხანებში დღიურ დავალებას 50-60 პროცენტით ასრულებდა. მასაც გიორგი დაეხმარა. ამჟამად ა. ჩიბირაშვილი გეგმებს 150-160 პროცენტით ასრულებს.

ბევრი საქები კალატოზია რუსთავში! საავადმყოფოს მთავარი კორპუსის მშენებლობაზეა თბილისის გარეუბნის რაიონის სოფელ ლილობიდან ჩამოსული ახალგაზრდა კოლმეურნე შალვა ბექაური, რომელმაც სახელი გაითქვა სტახანოვური მუშაობით. მან გაგვანდო თავისი განზრახვა:

— გადავწყვიტე რუსთავში სამუდამოდ დავრჩე საცხოვრებლად და ამასვე ვუსურვებ ჩემს ამხანაგებს. — და თან ღიმილით გადახედა თავის მეგობრებს — კახელ კოლმეურნეებს რ. მარტაშვილს და ჟ. მაისურაძეს.

გიორგი მაისურაძე და მის მიერ აღზრდილი კალატოზები სახელოვანი მშენებლები არიან. მათი სასახელო საქმეებით ამაყობენ არა მარტო მეორე სამშენებლო უბნის, არამედ მთელი რუსთავის მშრომელები.

ს. არღუნელი
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტი

მშენებლობანი კოლმეურნეობაში

ქობულეთი. (საქ. კორ.). რაიონში ყოველწლიურად იზრდება კოლმეურნეობათა მოსავალი და შემოსავალი. აქ უკვე ცოტა როდია ისეთი კოლმეურნეობა, რომელმაც გასულ წელს 3-9 მილიონ მანეთამდე შემოსავალი მიიღო.

წელს სოფელ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში 9 მილიონ მანეთ შემოსავალს ვარაუდობენ. ფულადი შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება განუყოფელი ფონდიც, რაც კოლმეურნეობას საშუალებას აძლევს ფართოდ გააჩაღოს მშენებლობანი. წელს კოლმეურნეობა ააგებს აგურკრამიტის ქარხანას, მარცვლეულის საწყობს, აბრეშუმის ჭიის გამოსაკვებ ფარდულს, საკოლმეურნეო აბანოსა და ჰიდროელექტროსადგურს, რაც საგრძნობლად გააუმჯობესებს კოლმეურნეობის წევრთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია აგრეთვე დამთავრდეს სოფლის ელექტროფიკაცია და რადიოფიკაცია.

პიონერთა ბანაკში

ფოტოეტიუდი რ. აკოფოვისა

აკადემიის გახსნა ჩეხოსლოვაკიაში

პრაღა, 30 მაისი. (საქდესი). ოსტრავაში გაიხსნა სოციალისტური აკადემია, რომლის ამოცანას შეადგენს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გავრცელება.

პირველი ლექციები მიძღვნილია პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, ჯანმრთელობის დაცვისა და მიჩურინული აგრობიოლოგიის საკითხებისადმი.

ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვა ბულგარეთში

სოფია, 29 მაისი. (საქდესი). სტატიაში „სახალხო ხელისუფლების ზრუნვა ბავშვთა ჯანმრთელობისათვის“, რაც გამოქვეყნდა ბულგარულ გაზეთ „ოტეჩესტვენ ფრონტში“ ბავშვთა დაცვის მოახლოებულ საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი დოქტორი კოლაროვი აღნიშნავს, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკითხს ბულგარეთის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს.

წარსულში, წერს დოქტორი კოლაროვი, ბულგარეთს მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი ეკავა ბავშვთა სიკვდილიანობის მხრივ. ბულგარეთის საავადმყოფოებში ბავშვთა მხოლოდ სამი განყოფილება იყო. მარტო 7 ქალაქში იყვნენ ბავშვთა სნეულების სპეციალისტი ექიმები. სამეანო დახმარება სოფლებში არსებითად სულ არ ყოფილა. ბულგარეთში მხოლოდ 6 სასოფლო სამშობიარო სახლი იყო.

სახალხო ხელისუფლებამ სავსებით უზრუნველყო დედისა და ბავშვისათვის უფასო საექიმო დახმარება. ყველა საოლქო საავადმყოფოში, აგრეთვე მეტწილ საოკოლოო და საქალაქო საავადმყოფოში შეიქმნა საბავშვო განყოფილებანი. სამშობიარო სახლების რიცხვი 20-ჯერ გადიდდა, ხოლო მათი საწოლებისა—25-ჯერ. ყველა ქალაქსა და ბევრ სოფელში შექმნილია საბავშვო ბაგები. იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებსაც ბაგები მომსახურებას უწევენ, ექვს წელიწადში 20-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა. ერთისამად და უფრო მეტად გადიდდა ქალთა და ბავშვთა კონსულტაციების რიცხვი.

სულ უფრო ფართოდ ინერგება პროფილაქტიკა ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვაში.

ბულგარეთში ბავშვთა ჯანმრთელობა წლითიწლობით უმჯობესდება. ბავშვთა სიკვდილიანობა მეტად შემცირდა, ხოლო შობადობა მნიშვნელოვნად გადიდდა. მოსახლეობის ბუნებრივი მატება უკანასკნელ წლებში თითქმის 50 პროცენტით გაიზარდა.

დასასრულ დოქტორი კოლაროვი აღნიშნავს, რომ ბულგარეთში ფართოდ იყენებენ საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვის დიდ გამოცდილებას.

ბრძანებულება უნგრეთში სავალდებულო სწავლების შესახებ

ბუდაპეშტი, 29 მაისი. (საქდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმმა გამოსცა ბრძანებულება საყოველთაო სკოლებში სავალდებულო სწავლების შესახებ.

მშობლები ვალდებული არიან უზრუნველყონ 6-დან 14 წლის ასაკამდე ბავშვების სკოლაში გაგზავნა. საყოველთაო სკოლები რვაკლასიანია. სავალდებულო სწავლება ვრცელდება ყველა რვა კლასზე. სკოლებში სწავლება უფასოა. ღარიბებს სწავლის პერიოდში სახელმწიფო გაუწევს დახმარებას. სწავლება უნგრულ ენაზეა. ხოლო იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც სკოლაში სწავლობს არანაკლებ 15 ბავშვისა, რომელთა დედაენა არის არაუნგრული ენა, მათთვის უზრუნველყოფილია დედაენაზე სწავლა. თუ სკოლაში ყველა ბავშვი არაუნგრული ეროვნებისაა და სწავლება წარმოებს არაუნგრულ ენაზე, მაშინ უნგრული ენისა და ლიტერატურის სწავლება სავალდებულოა.

დუნაი-შავი ზღვის არხის მშენებლობის სამუშაოთა მექანიზაცია

ბუქარესტი, (საქდესი). უდიდესი ტექნიკური დახმარების მეოხებით, რასაც რუმინეთს საბჭოთა კავშირი უწევს, ყოველდღე უფრო და უფრო ძლიერდება დუნაი-შავი ზღვის არხის აგების სამუშაოთა მექანიზაცია.

1950 წლის დამლევს მიწის სამუშაოთა მექანიზაციის დონე 60 პროცენტს აღწევდა. 1951 წლის აპრილისათვის შრომატევადი საწარმოო პროცესები მექანიზებული იყო 70 პროცენტით.

არხის მშენებლები იყენებენ საბჭოთა მოწინავე მეთოდებს, სწავლობენ საბჭოთა სპეციალისტების გამოცდილებას, რითაც ადიდებენ შრომის ნაყოფიერებას და ამცირებენ სამუშაოთა თვითღირებულებას.

ახალი ქალაქის მშენებლობა პოლონეთში

ვარშავა, 29 მაისი. (საქდესი). 1950 წელს პოლონეთის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ახალი ქალაქის—ტიხის მშენებლობის შესახებ. ეს ქალაქი გამიზნულია სილეზიის სამრეწველო რაიონის მუშათა კლასისათვის საბინაო ცენტრის შესაქმნელად.

ამჟამად მომავალი ქალაქის ტერიტორიაზე უკვე საფუძველი ჩაეყარა პირველ საცხოვრებელ სახლებს, დაწყებულია ტიხისაკენ მიმავალი გზის გაყვანა.

წლინახევრის შემდეგ ახალ ქალაქ ტიხიში 7.000-მდე მცხოვრები იქნება. ექვსწლიანი გეგმის განხორციელების შემდეგ ტიხის მოსახლეობის რაოდენობა 30 ათას კაცს მიაღწევს, ხოლო შემდგომ წლებში 100 ათასამდე გაიზრდება.

ჭიათურელი მაღაროელები იბრძვიან ახალი ტექნიკის საუკეთესოდ გამოყენებისათვის

მარგანეცის ტრესტმა ვადამდე შეასრულა გასული სამეურნეო წლისა და მიმდინარე წლის ხუთი თვის გეგმები. ეს წარმატება მოპოვებულია მექანიზმების უკეთ გამოყენებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით. მადნის მონგრევა მთლიანად ელექტრობურღებითა და სანგრევი უროებით წარმოებს. მექანიზებულია მადნის ზიდვაც. ხელსაყრელი რელიეფის გამო საჰაერო-საბაგირო გზები საბჭოთა კავშირში არსად ისე ფართოდ არ არის გამოყენებული, როგორც ჭიათურაში.

ყველაზე „ვიწრო ადგილს" წარმოადგენს ლავებსა და სანგრევებში მადნის დატვირთვა. მართალია, მტვირთავი მანქანების რაოდენობა 1947 წელთან შედარებით სამჯერ გაიზარდა და წელს მექანიზებულმა დატვირთვამ 35 პროცენტი უნდა შეადგინოს, მაგრამ ამ დარგში კვლავ ბევრია გასაკეთებელი. მტვირთავი მანქანები ჯერ კიდევ ვერ ასრულებენ დაწესებულ გეგმებს. ასევე მაქსიმალური დატვირთვით არ არის გამოყენებული სკრეპერები, რადგან ნაკლები ყურადღება ექცევა ლავების მომზადებას.

სკრეპერების წარმადობის გაზრდის მიზნით ტრესტის საპროექტო განყოფილებამ დაამუშავა უფრო მძლავრი სასკრეპერო დანადგარის პროექტი. იგი სახელოსნოში მზადდება და ახლო ხანში გამოიცდება.

ლენინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებში გამოსცადეს ახალი სისტემის მტვირთავი მანქანები და მომხვეტი ტრანსპორტერი. გამოცდამ კარგი შედეგები უჩვენა. წელს გამოსცდიან ელექტრომტვირთავ მანქანას და ინჟინერ კორნეევის კონსტრუქციის მტვირთავ მანქანას.

თვალსაჩინო მუშაობა განხორციელდა აკადემიკოს გ. წულუკიძისა და ინჟინერ შ. შეყლაშვილის კონსტრუქციის ბიგების გადასატანი მოწყობილობის დანერგვისათვის მაღაროებში. ასევე ითქმის მექანიკოს შ. ბუხრაშვილის კონსტრუქციის ბიგების გამოსატაცებელ ჯალამბარზე. მათი გამოყენებით რამდენიმე ათასი კუბმეტრი სამაგრი მასალა დაიზოგა და სამშობლომ მილიონობით ეკონომია მიიღო. მაგრამ ეს ახალი საქმე ჯერ კიდევ ყველა მაღაროში ფართოდ არ არის დანერგილი. წელს პირველად განხორციელდა ცდები ბიგების გადასატანი მოწყობილობისა და ჯალამბრის კომბინირებულად გამოყენებისათვის, რამაც დადებითი შედეგები გამოიღო.

მარგანეცის ხარისხის გაუმჯობესებისა და მადნის გამოსავლიანობის გადიდების საკითხი ძირითადად გამაუხვებელ ფაბრიკებში წყდება. მადნის ნორმალურად დამტვრევისათვის ყბებიანი სამტვრეველები შეიცვალა კონუსური სამტვრეველებით. ამ მანქანებმა გაადიდა ფაბრიკების წარმადობა და გააუმჯობესა ხარისხი. ამავე მიზნით ფაბრიკებში დაიდგა მაღალი სიხშირის სალექი მანქანები. ცენტრალურ გამაუხვებელ ფაბრიკაში აითვისებენ კონუსურ სამტვრეველებს, რაც გამოყენებულ იქნება შუალედი პროდუქციის შემდგომი დამტვრევისა და დამატებითი გაუხვებისათვის.

დიმიტროვის სახელობის მაღაროში დაიდგა დიდი სიმძლავრის ორსაფეხურიანი ღერძიანი ვენტილატორი. ასეთივე ვენტილატორები დაიდგმება ლენინისა და სტალინის სახელობის მაღაროებში, რაც გააუმჯობესებს მუშათა შრომის პირობებს.

ლენინის სახელობის მაღაროში დაიდგმება 150 კილოვატი სიმძლავრის ლითონის კორპუსის ვერცხლისწყლის გამომმართველები. ეს დიდად გააუმჯობესებს ელმავლების მუშაობას. აქვე ამონტაჟებენ 100-კუბმეტრიანი სიმძლავრის კომპრესორს. იგი ხელს შეუწყობს მტვირთავი მანქანების ნაყოფიერების გადიდებას.

წელს ჭიათურაში მიიღებენ ელექტრომწეს და მოეწყობა მასალა-მოწყობილობათა მექანიზებული დატვირთვა-გადმოტვირთვა. ეს გააადვილებს შრომას, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას, დააჩქარებს რკინიგზის ვაგონების ბრუნვას.

წინათ ავტომანქანების საბურავებს შესაკეთებლად სხვა ქალაქებში გზავნიდნენ. ეს ზრდიდა ხარჯებს. ამჟამად ჭიათურაში არის საბურავების სავულკანიზაციო საამქრო, რომელიც აწარმოებს საბურავების ადგილობრივ შეკეთებას.

ლითონების ზედაპირული წრთობა მაღალი სიხშირის დენით ახალი საქმეა. მთავარი მექანიკური სახელოსნო ახალ დანადგარს იღებს და წრთობა დაიწყება მაღალი სიხშირის დენით, რაც გააუმჯობესებს ნაწილების წრთობის ხარისხს, გაადიდებს მათ გამძლეობას. მოწინავე ქარხნების გამოცდილების გადმოტანით სახელოსნოში ლითონების ჩქარი ჭრაც ინერგება.

ჭიათურა ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი მძლავრი სამრეწველო ცენტრია. იგი აღჭურვილია ახალი ტექნიკით. ჭიათურელ მაღაროელთა და ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ღირსების საქმეა უფრო გაბედულად განაგრძონ ბრძოლა ტექნიკის უკეთ გამოყენებისათვის.

პ. ჭიოკაძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

სამშობიარო სახლები მაღალმთიან სოფლებში

ჯავა. (საკ. კორ.). უმჯობესდება რაიონის მშრომელთა სამედიცინო მომსახურება. სოფლად ფართოვდება სამკურნალო დაწესებულებათა ქსელი. ახლახან სოფელ ჩასავალში მოეწყო სამშობიარო სახლი.

უახლოეს მომავალში ახალი სამშობიარო სახლი გაიხსნება მაღალმთიან სოფელ როკაში.

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მოსამზადებელი საამქროს კომკავშირელი ხარატი ნ. დავითაშვილი ჩაბმულია რკინიგზელის სტალინური დღისადმი მიძღვნილ შეჯიბრებაში და გამომუშავების ნორმებს 200-250 პროცენტით ასრულებს. სურათზე: ხარატი ნ. დავითაშვილი და გზათა სამინისტროს ორთქლმავლების მიმღები ინჟინერი შ. ამბოკაძე ამოწმებენ ორთქლმავლის ერთ-ერთი დეტალის დამუშავების ხარისხს.

ფოტო რ. აკოფოვისა

რკინიგზელის სტალინური დღის შესახვედრად

საელმავლო დეპოს მოწინავე ადამიანები

რკინიგზელის საკავშირო დღის აღსანიშნავი სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შედეგად თბილისის საელმავლო დეპოს მეელმავლეებმა 12 კილომეტრით გაადიდეს ელექტრომავლის საშუალო სადღეღამისო გარბენა და გაზარდეს ტექნიკური სიჩქარე.

ლუნინელი მემანქანეები ო. ლიკლიკაძე, გ. ჩახუნაშვილი, გ. ბერუაშვილი და სხვები სისტემატურად დაატარებენ მძიმე წონის მატარებლებს. მაისში მათ მძიმე წონის მატარებლებით გეგმის გადამეტებით ათეულ ათასობით ტვირთი გადაზიდეს.

მოწინავე მემანქანეები აღიდებენ ელექტრომავლის შეკეთებათაშორის გარბენას. უფროსმა მემანქანემ გ. ხიზანიშვილმა აწევითი შეკეთების გაუკეთებლად გაირბინა 279 ათასი კილომეტრი, ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 150 ათასისა. უფროსმა მემანქანემ გ. კასრელიშვილმა გაირბინა 280 ათასი კილომეტრი. ასეთივე წარმატება მოიპოვეს უფროსმა მემანქანეებმა ე. ბახტაძემ, ალ. ვაშაკიძემ და სხვებმა. ახლა ისინი ცდილობენ ელექტრომავლის შეკეთებათაშორისი გარბენა 300 ათას კილომეტრამდე აიყვანონ.

მაღალნაყოფიერად მუშაობენ მერემონტეებიც. მათ გეგმის გადამეტებით პერიოდული შეკეთებიდან გამოუშვეს ერთი ელექტრომავალი და მოტორვაგონების სექცია. ყველაზე დიდ წარმატებას აღწევს ელექტრომანქანის ლუზის დამხვევი სტახანოველი დ. მარმარაშვილი, რომელმაც ხუთ თვეში ერთი წლისა და ხუთი თვის ნორმა გამოიმუშავა. ელექტროზეინკალმა პ. ცაცანაშვილმა მაისის დავალება ოთხმაგად გაანაღდა. ელექტროშემდუღებელი ა. გურგენიძე და ხარატი კ. გვენცაძე გეგმებს ორმაგად ასრულებენ.

დეპოში საგრძნობლად შეამცირეს აწევით შეკეთებაში ელექტრომავლის დგომის დრო. ამ საქმეში წარმატებით გამოიყენეს ინჟინერ თ. კოვალიოვის მეთოდი. გამოავლინეს ცალკეულ საწარმოო პროცესთა შესრულების ყველაზე რაციონალური ხერხები და შრომის ეს მოწინავე ხერხები ფართოდ დანერგეს წარმოებაში. მოწინავე ელექტროზეინკლების ლ. მოსემღვდლიშვილისა და ლ. ჩხეიძის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულ იქნა წევის ძრავების შეკეთების გაუმჯობესებული მეთოდი, რამაც 4 საათით დააჩქარა ამ ნაწილის შეკეთება. ზეინკლების გ. ლაბაძისა და ი. ნანიტაშვილის გამოცდილება საფუძვლად დაედო რაციონალური ხერხების დანერგვას, რამაც ორნახევარი საათით დააჩქარა გოგორწყვილების შეკეთება. შეკეთების ყველა საწარმოო პროცესის ასეთი შესწავლა-გაუმჯობესების შემდეგ შეადგინეს ჩქაროსნული შეკეთების გრაფიკი და ელექტრომავლის აწევითი შეკეთება 5 დღის ნაცვლად სამნახევარ დღეში განახორციელეს.

ამჟამად დეპოს მუშაკები მიზნად ისახავენ მოტორ-ვაგონების სექციის აწევითი შეკეთებაც ჩქაროსნული გრაფიკით განახორციელონ. ამ მიმართულებით უკვე წარმოებს პრაქტიკული მუშაობა.

ფართოდ დავნერგოთ მეცხოველეობაში შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია

რა გამოირკვა მეცხოველეობის მუშაკთა და მექანიზატორთა თათბირზე

გურჯაანი. (საკ. კორ.). შედგა კახეთის მტს-ების დირექტორების, მექანიკოსების, რაიონების სოფლის მეურნეობის განყოფილებათა უფროსი აგრონომებისა და ზოოტექნიკოსების თათბირი. მოხსენება საკითხზე — „საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამუშაოთა მექანიზაციის განყოფილების უფროსმა ამხ. ა. რუხაძემ.

თათბირზე აღინიშნა, რომ საძოვრებისა და მდელოების ამოძირკვას და ამოშრობას კახეთის მტს-ების უმრავლესობა ჯერ არ შესდგომია. ბევრგან სილოსის საჭრელი და სათიბი მანქანები დღემდე არ შეუკეთებიათ. საკვების დასილოსება ჯერ არც ერთ მტს-ს არ დაუწყია. მტს-ების უმრავლესობა ცუდად მუშაობს საკოლმეურნეო ფერმებში მექანიზაციის დასანერგავად და სხვ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდა ლაგოდეხის მტს-ის დირექტორი ამხ. პ. ქემოკლიძე, რომელმაც განაცხადა, რომ მთელ რიგ საკოლმეურნეო ფერმებში მტს-მა დადგა საკვების დასაორთქლებელი და ნაკელის გადასამუშავებელი მანქანები, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოს სოფლელექტრომ ვერ უზრუნველყო ელექტროენერგიის მიწოდება ფერმებისათვის, მანქანები დღემდე უქმად დგას.

ალაზნის მტს-ის დირექტორმა ამხ. პ. გელაშვილმა აღნიშნა: საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო ზოგჯერ დაგვიანებით გზავნის გეგმებს. შარშან მტს-მა აგვისტოს ბოლოს მიიღო თიბვის დამატებითი გეგმა. ამ დროს კი გასათიბი აღარაფერი იყო. ალაზნის მტს-ს მხოლოდ ერთი ცხვრის საპარსი აგრეგატი აქვს. ეს საკმარისი არ არის, რადგან მტს-ის მომსახურების თითოეულ კოლმეურნეობას 20.000 სულზე მეტი ცხვარი ჰყავს. ელექტროგადამცემი ხაზების უქონლობის გამო დღემდე არ დაწყებულა ფერმებში შრომატევადი სამუშაოების მექანიზაცია.

კაჭრეთის მტს-ის დირექტორმა ამხ. ა. ფხალაძემ თქვა: — წელს გეგმით 1.500 ტონა სილოსი უნდა ჩავდოთ. ამ დავალების შესრულება საფრთხეშია, რადგან გვაქვს მხოლოდ ერთი სილოსის საჭრელი მანქანა. ჩვენ რამდენჯერმე მივმართეთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომ მანქანები მოეცა, მაგრამ პასუხი დღემდე არ მიგვიღია.

წითელწყაროს მეცხოველეობის მტს-ის დირექტორის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში ამხ. ი. მოლოდინმა აღნიშნა:

— ჩვენმა მტს-მა წელს 7.240 ჰექტარი უნდა გათიბოს და 7.500 ტონა სილოსი ჩადოს. სილოსის ჩადება უკვე დავიწყეთ სოფელ ჯაფარიძის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობაში. მტს-ი დიდ ყურადღებას აქცევს ცხვრის მექანიკურ პარსვას. გეგმით გათვალისწინებული 70.000 ცხვრიდან უკვე გაპარსული გვყავს 40.000. ცხვრის პარსვა ყველაზე უკეთესად მოაწყო ასლან მოსაშვილმა. მიმდინარე წლის გაზაფხულზე მან ერთი აგრეგატით 17.000 სული ცხვარი გაპარსა, ხოლო მიხეილ ბოლაშვილმა — 9.000 სული. უნდა აღინიშნოს, რომ მექანიკური პარსვით თითოეულ ცხვარზე მიღებულია 300 გრამით მეტი მატყლი, ვიდრე ხელით პარსვის დროს. ჩვენს მტს-ს დავალებული აქვს მოაწყოს მექანიკური წველა, მაგრამ ვერ ვახერხებთ, რადგან ძრავები არა გვაქვს.

ამხ. მოლოდინმა გააკრიტიკა სოფლის მეურნეობის სამინისტროს გურჯაანის სამშენებლო კანტორა (მმართველი გ. ჯაშიაშვილი), რომელმაც ცუდად მოაწყო მტს-ის საწვავის ბაზა და დღემდე ვერ უზრუნველყო სახელოსნოს დამთავრება.

პირუტყვის საკვების წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ ილაპარაკა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. გიორგაძემ. კამათში მონაწილეობა მიიღო 22 კაცმა.

თათბირმა დასახა სათანადო ღონისძიებანი თიბვისა და სილოსის ჩადების, მდელოებისა და საძოვრების ამოძირკვისა და ამოშრობის გეგმების ვადაჭარბებით შესასრულებლად.

კომბაინების რემონტი ჭიანურდება

შინდისის მტს-ი (გორის რაიონი) ჩამორჩა მოსავლის აღებისათვის მზადებაში. შესაკეთებელი 5 კომბაინიდან არცერთი არ არის შეკეთებული. რემონტს ცუდად ხელმძღვანელობს მტს-ის უფროსი მექანიკოსი პ. გოგოლაძე. ჩამორჩენა გამოწვეულია იმით, რომ მოწყობილი არ არის ორცვლიანი მუშაობა, მექანიზატორთა შორის ვხვდებით უდისციპლინობას, არ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. მუშაობის ამ უბანს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში გ. ადუაშვილი და პარტორგანიზაციის მდივანი ი. მინდიაშვილი.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან დასახმარებლად შინდისის მტს-ში მოვლინებული იყო ამხ. თ. გაჩეჩილაძე, რომელმაც რამდენიმე დღე დაჰყო შინდისში, მაგრამ ეს ვიზიტი ნაყოფიერი ვერ აღმოჩნდა.

კომბაინებისათვის აკლიათ სხვადასხვა ნაწილები, რომელთა უქონლობა აფერხებს რემონტის საქმეს.

შინდისის მტს-მა თავი უნდა დააღწიოს ჩამორჩენას.

შ. ჩუბინიძე

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ბავშვების დასაცავად!

ერთი წლის წინათ, 1950 წლის 1 ივნისს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მოწოდებით პირველად მოეწყო ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. იგი ფართოდ აღინიშნა 51 ქვეყანაში და ცხადყო, რომ ბავშვთა დაცვისათვის ბრძოლა შეესაბამება მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის მისწრაფებას და წარმოადგენს მშვიდობისათვის საერთო მოძრაობის შემადგენელ ნაწილს.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საბჭოს III სესიამ, რომელიც მიმდინარე წლის თებერვალში გაიმართა ბერლინში, გადაწყვიტა მოეწყოს 1951 წელს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე როგორც ფართო კამპანია ომის საფრთხის თავიდან აცილების, სამხედრო ბიუჯეტების შემცირების, ბავშვთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის.

არასოდეს ისე მწვავედ, როგორც ახლა, არ ყოფილა დასმული საკითხი იმის შესახებ, რომ საჭიროა დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანის ყურადღებისა და აქტივობის მობილიზაცია ბავშვებისა და ახალგაზრდობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვისა და დემოკრატიული აღზრდისათვის. ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ომისათვის მზადებიდან აგრესიის პირდაპირ აქტებზე გადავიდნენ. კორეის ასობით ქალაქი და სოფელი მათ ნანგრევებად აქციეს, ათასობით კორეელი ბავშვი დაობლდა, მაგრამ ამერიკელი მფრინავები კვლავ უშენენ გამანადგურებელ ბომბებს პატარა ქვეყანას, რომელიც მამაცურად და შეუდრეკლად იცავს თავის დამოუკიდებლობას.

ამერიკელ და ინგლისელ დამპყრობლებსა და ლისინმანელთა დაქირავებულ ბანდებს კაცობრიობა არასოდეს არ აპატიებს კორეელ ბავშვთა სისხლსა და ტანჯვას, პატარა მოსწავლეთა ცოცხლად დაწვას, საცხოვრებლების, სკოლებისა და საავადმყოფოების დანგრევას.

აგრესიის პოლიტიკა, რასაც ამერიკელ-ინგლისელი იმპერიალისტები ახორციელებენ, გარდუვალად აუარესებს მშრომელთა შვილების მდგომარეობას კაპიტალისტურ, კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში.

კაპიტალის ქვეყნებში მატულობს ბავშვთა შრომის უსასტიკესი ექსპლოატაცია, ბავშვთა უპატრონობა და სილატაკე, იზრდება ბავშვთა სიკვდილიანობა. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ინგლისში, საფრანგეთში, იტალიასა და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში სამხედრო ბიუჯეტების უაღრესად გადიდებასთან ერთად მკვეთრად მცირდება ასიგნობები ბავშვთა განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისათვის, სოციალური უზრუნველყოფისათვის.

ბურჟუაზიულ პრესასაც კი არ ძალუძს დაფაროს კაპიტალიზმის ქვეყნებში მშრომელთა შვილების მძიმე და უნუგეშო მდგომარეობის ფაქტები. ამერიკის შეერთებულ შტატებში ასეულ ათასობით ბავშვი ნახევრად მშიერია, ტროტუარებზე ათევს ღამეს, მოწყალებას ითხოვს. მილიონობით ბავშვი მშობლებთან ერთად იძულებულია თავი შეაფაროს უბადრუკ ქოხმახებსა და ჯურღმულებს, რომლებიც სავსეა ვირთაგვებით, პარაზიტებით, სადაც არ მოიპოვება წყალსადენი და კანალიზაცია. გეორგიის შტატის ქალაქ ატლანტაში ასეთ ჯურღმულებში ცხოვრობს 137 ათასი კაცი.

ამერიკის პროფკავშირთა საინფორმაციო სააგენტო ფედერეიტედ პრესმა გამოაქვეყნა ცნობა იმ შემთხვევის შესახებ, რაც ამა წლის 23 იანვარს მოხდა ქალაქ ლოს-ანჟელოსში. ოთხი ბავშვის დედამ სილვია გოულბერგმა, რომელიც საშინელ გაჭირვებაში ცხოვრობდა, მიიღო სახლმფლობელის განკარგულება ბინის ქირის გადაუხდელობის გამო ოთახის განთავისუფლების შესახებ. ამასთან სახლის პატრონმა ცინიკურად განაცხადა, რომ სილვიას და მის ბავშვებს შეუძლიათ ღამე ათიონ ეკლესიაში ქვის სკამებზე. სასოწარკვეთილმა სილვიამ თავი მოიკლა.

ბავშვთა შრომის ექსპლოატაცია „ამერიკული ცხოვრების" განუყოფელი ნაწილია. ამას წინათ ბავშვთა დაცვის ამერიკის ლიგის თავმჯდომარემ ლეონარდ მეიომ განაცხადა: „მსოფლიოს ამ უმდიდრეს ქვეყანაში ათასობით ბავშვი ხანგრძლივი სამუშაო დღის განმავლობაში ბავშვისთვის აუტანელ შრომას ეწევა".

ამერიკაში ბავშვებს ჰყიდიან. გაზეთი „დეილი კომპასი" იუწყება, რომ ყოველ შტატში თავისი ფასებია ბავშვების საყიდლად. არის სპეციალური სააგენტო, რომელიც ბავშვებს ყიდულობს მშობლებისაგან, რომელთაც არ ძალუძთ მათი გამოკვება.

ამერიკის შეერთებულ შტატებში სასკოლო ასაკის 6 მილიონამდე ბავშვი არ სწავლობს.

ყოველწლიურად 100 ათასზე მეტი ბავშვი კვდება ერთ წლამდე ასაკში.

განუწყვეტლივ იზრდება ბავშვთა დამნაშავეობა. ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში, არასრული ცნობებით, ყოველწლიურად აღირიცხება დანაშაულის ჩამდენი ერთ მილიონზე მეტი ბავშვი.

ინგლისში, გრეივსენდის (კენტი) ინგლისური საშუალო სკოლის მასწავლებლის მ. უაილსის მოხდენილი გამოთქმით, „განათლების საათი არა მარტო გაჩერდა, არამედ მან უკან იწყო სვლა".

თუ როგორია ეტლის გეგმები ინგლისელი ახალგაზრდობის „გაბედნიერებისა", შეგვიძლია წარმოვიდგინოთ შემდეგი ფაქტების მიხედვით. ოფიციალურ წიგნში, რომელიც გამოვიდა სახელწოდებით „80 ათასი ახალგაზრდა. ბირმინჰამის ახალგაზრდობის ცხოვრების გამოკვლევის გამოცდილება" (გამომცემლობა ალენი და ივვინი. ლონდონი, 1950 წ.) მოთხრობილია: ამას წინათ ბირმინჰამის სახალხო განათლების ორგანოებმა გამოაცხადეს, რომ შეუძლებელია 24 ათასი ახალი სასკოლო ადგილის მომზადება, რომლებიც საჭირო იქნება უახლოეს წლებში. ბირმინჰამის სისხლის სამართლის საქალაქო სასამართლო ყოველწლიურად არჩევს მოზარდთა საქმეებს, რომლებსაც პასუხისგებაში აძლევენ ქურდობისა და სხვა დანაშაულობათათვის, ამასთან მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება 10-12 პროცენტით. ახალგაზრდობის 40 პროცენტი აზარტულად თამაშობს ბანქოს ან ფულად სანაძლეოს დებს დოლსა და ძაღლთა მარულაში. ყოველი მეშვიდე ჭაბუკი ჩვეულებრივად სამიკიტნოში დადის. არის ბევრი შემთხვევა, როცა სამიკიტნოებში 14-15 წლის ქალიშვილები თვრებიან.

ინგლისის განათლების მინისტრის ლეიბორისტ ტომლინსონის განცხადებით, სამი ათასი სკოლის ნაცვლად, რომლებიც უნდა აეგოთ, ამ უკანასკნელ პერიოდში აგებულ იქნა მხოლოდ 61 სკოლა.

საფრანგეთის ბურჟუაზია და მისი მსახურნი სკოლებში მშრომელთა შვილების სწავლას სოციალურ უბედურებად თვლიან.

იტალიაში ტუბერკულოზით დაავადებული ბავშვებიდან მხოლოდ 4 პროცენტია უზრუნველყოფილი სამედიცინო ზედამხედველობით და საექიმო დახმარებით. ამერიკის შეერთებული შტატების სამხრეთ ოლქებში ბავშვებს შორის მძვინვარებს ტიფი, მალარია და ტრაქომა. ნეაპოლში ჩატარებული გამოკვლევის მონაცემებით, ამ ქალაქში მცხოვრებ ბავშვთა 30 პროცენტი სისტემატურად სანახევროდ შიმშილობს, 75 პროცენტი დაავადებულია რაქიტით, 38 პროცენტი—ანემიით.

საშინელი და უნუგეშოა ბავშვთა ცხოვრება კოლონიურ ქვეყნებში. მათი 60 პროცენტი 14 წლამდეც ვერ აღწევს, ბიჭების 85-90 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი რჩება, ხოლო გოგონების სწავლაზე სტატისტიკაც კი არ არსებობს.

არაადამიანურ ექსპლოატაციას უწევენ ბავშვთა შრომას ინდოეთში. მცხუნვარე ტროპიკული მზის ქვეშ ათასობით ბავშვი კრეფს ჩაის ფოთოლს, დილიდან ღამემდე მუშაობს ჯუტის პლანტაციებში ან ქსოვს ხალიჩებს. მათ უხდებათ მუშაობა 7-8 წლის ასაკიდან.

უკეთეს მდგომარეობაში როდი არიან ბავშვები ეგვიპტეში. ფრანგმა ჟურნალისტმა პოლ ბიურმა, რომელიც იქ იყო, გაზეთ „კომბაში" მოათავსა სტატიების სერია სათაურით: „ეგვიპტე შეულამაზებლად". ეხებოდა რა ბავშვების მდგომარეობას, იგი წერდა: „ბავშვები უმეთვალყუროდ დაეხეტებიან მანამდე, სანამ მიაღწევდნენ იმ ასაკს, როცა შეუძლიათ მუშაობა, ესე იგი 6-8 წლის ასაკს".

უნუგეშოა ბავშვთა მდგომარეობა თანამედროვე იაპონიაში. გაზეთი „ტოკიო ნიცი ნიცი" ამას წინათ წერდა, რომ, თუმცა იაპონიაში შემოღებულია ბავშვთა დაცვის კანონი, „ცოცხალი საქონლით ვაჭრობა გრძელდება".

იმპერიალისტები ეწევიან სკოლის გაძლიერებულ მილიტარიზაციას, საეკლესიო-მილიტარისტული, პოლიციური, სკაუტური და სხვა ფაშისტური ორგანიზაციების ქსელში ხვევენ ბავშვებსა და მოზარდებს. რადიოს, კინოს, პრესას, საბავშვო წიგნებს, სათამაშოებსაც კი იმპერიალისტები იყენებენ, როგორც ბავშვთა და მოზარდთა მილიტარიზაციის, გარყვნისა და მორალური გამოფიტვის, კაცთმოძულეობის იდეოლოგიით, რასისტული იდეოლოგიით მათი შეგნების მოწამვლის იარაღს.

ჟურნალ „ლაიფის" გამოანგარიშებით, მარტო ამერიკის შეერთებული შტატების სამი უდიდესი რადიოკომპანია ეთერში გადასცემს 80 დეტექტიურ რადიოგადაცემას კვირაში. 60 მილიონი ცალი ყოველთვიური ტირაჟით გამოდის ამერიკაში 250 საბავშვო ჟურნალი სახელწოდებით „კომიკს". მათი ფურცლები აჭრელებულია ყოველგვარი მკვლელობის, ქურდობის აღწერით განგსტერთა ცხოვრებიდან.

ასეთია მილიონობით ბავშვის ცხოვრება კაპიტალიზმის ქვეყნებში. ასეთია საფრთხე, რომელიც კაცობრიობის მომავალს ემუქრება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის მომწყობი კომიტეტის მოწოდებით, რომელიც თავის დროზე შეიქმნა პარიზში საერთაშორისო დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან, ბევრ ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ბავშვთა დაცვის ეროვნული კომიტეტები, რომლებმაც გააერთიანეს სულ სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები. ახალგაზრდობის, ქალთა, პროფკავშირთა ადგილობრივი ორგანიზაციები იკვლევენ მშრომელთა შვილების მდგომარეობას, აწყობენ სახსრების შეგროვებას და საღამოებს ობოლი ბავშვების, უმუშევართა შვილების სასარგებლოდ, ზომებს იღებენ ამბულატორიების, საბავშვო ბაღების, სკოლების, სასპორტო მოედნებისა და სხვ. გახსნისათვის.

ბავშვთა ბედნიერებისათვის, მოზარდი თაობის დემოკრატიული განათლებისა და აღზრდისათვის ბრძოლის შთამაგონებელ მაგალითს წარმოადგენს მსოფლიოს ყველა ხალხისთვის დიადი საბჭოთა კავშირი.

საბჭოთა სახელმწიფო არ იშურებს სახსრებს ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმისათვის. ჩვენი სამშობლოს ბიუჯეტში 26,8 პროცენტს შეადგენს ასიგნობები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის. მარტო განათლებისათვის წელს გადადებულია 59 მილიარდი მანეთი.

ჩვენს ქვეყანაში განხორციელებულია საყოველთაო სავალდებულო სწავლება. სკოლებსა და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში წელს სწავლობს 37 მილიონი კაცი. წლითიწლობით სულ უფრო იზრდება სასკოლო ქსელი. მარტო რუსეთის ფედერაციაში ომისშემდგომი ხუთი წლის განმავლობაში აიგო 6.700-ზე მეტი სკოლა. სკოლების ომამდელი ქსელი აღდგენილი და გაფართოებულია.

საბჭოთა ქვეყანაში ფართოდ განვითარდა სკოლამდელი აღზრდა. მარტო რუსეთის სფს რესპუბლიკაშია 16, ათასზე მეტი საბავშვო ბაღი, რომლებშიც 800 ათასზე მეტი ბავშვი იზრდება.

გასულ წელს სხვადასხვა საზაფხულო გამაჯანსაღებელი ღონისძიებები განხორციელდა 5 მილიონზე მეტი ბავშვის მიმართ.

ჩვენი ბავშვები პატარაობიდანვე იზრდებიან საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მსოფლიოს სხვა ხალხებთან მეგობრობისა და პატივისცემის სულისკვეთებით.

საბჭოთა კავშირის მიერ ნაჩვენები გზით ძლევამოსილად მიდიან სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, განთავისუფლებული ჩინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დემოკრატიული კორეა, რომელიც ომის ცეცხლშიც კი განსაკუთრებული მზრუნველობით და ყურადღებით ეპყრობა თავის ბავშვებს.

მშვიდობისათვის მოძრაობა თანამედროვეობის ყველაზე უძლეველი მოძრაობაა. არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ჩაახშოს ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი, დამოუკიდებლობისადმი, თავისუფლებისადმი.

„მშვიდობას კი არ უნდა ველოდეთ, მშვიდობა ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ!", ეს სიტყვები ჩაწერილია მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მიერ მიღებულ „მანიფესტში მსოფლიოს ხალხებისადმი". 250 მილიონზე მეტმა კაცმა უკვე მოაწერა ხელი მოთხოვნას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ახალი წვლილი იქნება მშვიდობისათვის ბრძოლის საერთო საქმეში. ხალხები ბავშვებს დაუბრუნებენ მათ ბავშვობას. კაცობრიობა დაიცავს თავის მომავალს. ამის საწინდარია მილიონთა ნებისყოფა, რომელსაც შთააგონებს და წარმართავს მთელი პროგრესული კაცობრიობის ბელადის, მშვიდობის მედროშის—დიდი სტალინის გენია.

ლ. დუბროვინა.

რუსეთის სფსრ განათლების მინისტრის მოადგილე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მშვიდობისათვის არის ბრძოლა ბავშვთა ბედნიერებისათვის!

★

ასე ზრუნავენ მომავალი თაობისათვის!

ციფრები და ფაქტები

სსრ კავშირი

დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების, ტექნიკუმებისა და სხვა საშუალო სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი ხუთწლედის მანძილზე 8 მილიონით გადიდდა და 1950 წელს 37 მილიონს მიაღწია. უმაღლეს სასწავლებლებში 1950 წელს სწავლობდა 1.247.000 სტუდენტი, ნაცვლად 1940 წლის 812 ათასისა.

სახალხო მეურნეობამ მხოლოდ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში მიიღო 1.930.000 უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე სპეციალისტი.

ჩინეთი

213.000 დაწყებით სკოლაში სწავლობს 16 მილიონი მოსწავლე, 3.690 საშუალო სასწავლებელში მოსწავლეთა რაოდენობა მილიონს აღემატება, 227 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს 134.000 მომავალი ექიმი, მასწავლებელი, ინჟინერი.

მხოლოდ მანჯურიაში დაწყებით და საშუალო სკოლებში სწავლობს დაახლოებით 5 მილიონი ბავშვი, აქედან 80 პროცენტი მუშებისა და გლეხების შვილები არიან.

პოლონეთი

განათლების ხარჯები შარშან მთელი ბიუჯეტის 23,6 პროცენტს შეადგენდა. წელს ეს ხარჯები გადიდებულია 5,7 პროცენტით.

წელს გაიხსნება 412 ახალი დაწყებითი სკოლა. რესპუბლიკაში გახსნილია 11.682 შვიდწლიანი სკოლა.

ჩეხოსლოვაკია

1937 წელს სახალხო განათლების საქმეზე დაიხარჯა 997 მილიონი კრონი, 1950 წელს — 10 მილიარდი, ხოლო 1951 წელს განათლებისა და კულტურის ხარჯები 12.183 მილიონ კრონს შეადგენს.

ბულგარეთი

ხორციელდება 7-დან 15 წლის ასაკამდე ბავშვების სავალდებულო სწავლება. სახალხო დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ გაიხსნა 1.800 ახალი სკოლა. მოსწავლეთა რიცხვი გადიდდა დაახლოებით ერთიორად.

1950 წელს უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა 69 პროცენტით მეტმა სტუდენტმა, ვიდრე 1949 წელს.

რუმინეთი

ომისშემდგომი ხუთი წლის განმავლობაში გაიხსნა 374 სამშობიარო სახლი, 770 საბავშვო ბაგა და 10 ათასამდე დედათა და ბავშვთა კონსულტაცია.

1938 წელთან შედარებით დაახლოებით თექვსმეტჯერ გადიდდა მოსწავლეთა რაოდენობა პედაგოგიურ სასწავლებლებში, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში სტუდენტთა რაოდენობა გადიდდა ერთიორად.

★

ბავშვების დიდი სიყვარულით სარგებლობს თბილისის ლავრენტი ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. სასახლის კაბინეტებსა და სახელოსნოებში ბავშვები იღრმავებენ ცოდნას, ეჩვევიან დამოუკიდებელ მუშაობას წიგნზე, იძენენ საცდელი, კვლევითი მუშაობის ელემენტარულ ჩვევებს, ეუფლებიან სხვადასხვა იარაღების ხმარებას, ეცნობიან მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, სპორტის მიღწევებს.

სურათზე: სასახლის ბიოლოგიის კაბინეტში ბოტანიკის წრის წევრები ქალთა პირველი სკოლის მოსწავლეები მზია ქოიავა, მარგალიტა ჩქარეული და ნელი გიორგობიანი მიკროსკოპით აწარმოებენ დაკვირვებას.

★

★

აი როგორია ბავშვთა ხვედრი კაპიტალისტურ ქვეყნებში

ციფრები და ფაქტები

ამერიკის შეერთებული შტატები

1951-1952 საფინანსო წელს სამხედრო ხარჯები აღემატება 70 მილიარდ დოლარს. ჯანმრთელობის დაცვის საქმეზე დაიხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტის ერთ პროცენტზე ნაკლები.

თვით ამერიკული გაზეთების ცნობით, შარშან კბილის მკურნალობა ესაჭიროებოდა ბავშვების 75 პროცენტს, თვალის მკურნალობა — 10 მილიონ ბავშვს, ნერვული დაავადება ჰქონდა 3 მილიონზე მეტ ბავშვს, სმენის დეფექტი — 1 მილიონ ბავშვს.

გაზეთ „დეილი მირორის" ცნობით, შარშან 34 შტატში დაპატიმრებული იყო 100 ათასი ბავშვი, მათ შორის 10-13 წლის ბავშვებიც.

ინგლისი

მშრომელთა ხელფასის სულ ცოტა 50 პროცენტი იხარჯება სხვადასხვა სახის პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადის დასაფარავად.

მიმდინარე წლის აპრილში 16-ჯერ გამოცხადდა პირველი მოხმარების საგნების ფასების ზრდა.

მასწავლებელთა პროფკავშირის ყოფილმა თავმჯდომარემ რისმა შარშან აპრილში განაცხადა, ზოგიერთი მასწავლებელი ისეთ მდგომარეობაშია, რომ იძულებულია საღამოთი კაფეში იმუშაოს ოფიციანტადო.

იტალია

უმუშევართა რაოდენობა ორ მილიონს აღემატება (ნახევრად უმუშევართა ჩაუთვლელად).

300 ათასი ბავშვი დაავადებულია ტუბერკულოზით.

საფრანგეთი

ფრანკის მყიდველობითი უნარი 1939 წელთან შედარებით 27-ჯერ შემცირდა.

მიმდინარე წლის იანვარში საჭმელი ზეთის ფასი გადიდდა 20 პროცენტით, ბოსტნეულისა — 28 პროცენტით.

ბრაზილია

ბრაზილიის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ყოველი 1.000 ბავშვიდან კვდება დაახლოებით 550 ბავშვი. მოსახლეობის 50 პროცენტი 30 წლამდეც ვერ ცოცხლობს.

არგენტინა

სულ უფრო იზრდება სამხედრო ხარჯები. 1950 წელს ამ მიზნით დაიხარჯა 2.413 მილიონი პესო. ამავე დროს მცირდება განათლების ხარჯები, თუმცა არგენტინაში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 4 მილიონს შეადგენს.

საბერძნეთი

1949 წლის ნოემბრიდან 1950 წლის დეკემბრამდე ერთობ შემცირებული ოფიციალური ცნობით ცხოვრება გაძვირდა 14 პროცენტით.

იქ, სადაც ბატონობს კაპიტალი

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა, აღზრდა—განათლება, მისი მომავლისათვის განუწყვეტელი ზრუნვა საბჭოთა საზოგადოების ურყევი კანონია, ბავშვებისათვის ზრუნავს კაცობრიობის უდიდესი ადამიანი იოსებ სტალინი.

საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში ბავშვებისათვის ზრუნვა დიდ სახელმწიფოებრივ საქმედ არის აღიარებული. იქ, სადაც ექსპლოატატორები არ არიან და ხალხი თვითონ განაგებს თავის ბედს, სახელმწიფო მტკიცედ იცავს ბავშვისა და დედის ინტერესებს.

მაგრამ იქ, სადაც ბატონობენ იმპერიალისტები, ადამიანთა ეს უბოროტესი მტრები, მშრომელთა შვილებს თავს ატყდებათ მონობის სიდუხჭირე. მონური შრომით დაქანცულ, სიღარიბით, შიმშილით სასოწარკვეთილებამდე მიყვანილ მშობლებს არ შეუძლიათ შეუქმნან თავიანთ პატარებს თუნდაც საარსებო მინიმუმი. ამიტომ არის, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში ახლად დაბადებულ ბავშვთა სიკვდილიანობა ძლიერ დიდია. მაგალითად, ირანში ბავშვთა სიკვდილიანობა 80 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით მძიმეა ზანგი ბავშვების ხვედრი ჩრდილოეთ ამერიკაში. მათი სიკვდილიანობა 82 პროცენტით მეტია, ვიდრე თეთრკანიანი ბავშვებისა. ინდოეთში ყოველწლიურად შიმშილისაგან კვდება ერთ მილიონამდე ბავშვი. კალკუტაში ყოველკვირა ქუჩაში აგროვებენ შიმშილისაგან მომკვდარ 300-მდე ბავშვს. ყოველი მეოთხე ახალშობილი ინდოელი ბავშვი ცხოვრების პირველი წლის განმავლობაშივე კვდება. ფორმალურად ინდოეთში აკრძალულია 12 წლის ასაკზე მცირეწლოვანი ბავშვის შრომის გამოყენება, მაგრამ ქალთა საერთაშორისო ფედერაციის კომისიამ წარმოადგინა არაერთი უტყუარი ფაქტი, რომელიც მოწმობს ამ კანონის უხეშ დარღვევას. მაგალითად, ინდოეთის მხოლოდ ჩაის პლანტაციებში 100.000 ბავშვი მუშაობს, მათ შორის ზოგიერთი 6 წლისაა. თამბაქოს ფაბრიკების მუშების 25 პროცენტს 6-12 წლის ბავშვები შეადგენენ. კანალიზაციის გაწმენდაზე 7-8 წლის ბავშვებიც კი მუშაობენ. მიუხედავად 10-12 საათის მძიმე შრომისა, ინდოელი ბავშვები იმდენს მაინც ვერ იღებენ, რომ საკმაო საჭმელი ჰქონდეთ.

შიმშილი მძვინვარებს სხვა კაპიტალისტურ და კოლონიურ ქვეყნებშიც. სამხრეთ აფრიკაში ბავშვების 90 პროცენტი შიმშილობს; მოსახლეობის 70 პროცენტი ჭლექით არის დაავადებული.

დღეს, ომის დამთავრების 6 წლის შემდეგ, ინგლისში მშრომელი დედა სასურსათო ბარათებით იმდენ საკვებსაც ვერ იღებს, რომ ძუძუთი გამოკვებოს ბავშვი, როგორც წესი, მშობიარობის 2-3 თვის შემდეგ ქალს რძე უშრება. ფაქტიურად ინგლისში ექიმები ბავშვებს ინფექციური დაავადების დროს საავადმყოფოში არ გზავნიან. ისინი ამშვიდებენ მშობლებს: რაც უფრო მეტ დაავადებას გადაიტანს ბავშვი, მით უკეთესიაო. ბავშვთა ექიმები მხოლოდ მდიდართა შვილებს ემსახურებიან.

იტალიაში 3 ათას ბავშვს ესაჭიროება გადაუდებელი ჰოსპიტალიზაცია. 12 ათასი ბავშვი ომის ინვალიდია. ყველა დაავადებულის სტაციონარული მკურნალობა 50 მილიარდ ლირას მოითხოვს, რაც მთავრობას ვერ გაუმეტებია ხალხისათვის. იტალიის ზოგიერთ ზღვისპირა ქალაქში — ნეაპოლში, ლივორნოში და სხვაგან, სადაც ამერიკელთა სამხედრო ნაწილები იმყოფებიან, ვენერიული სენით დაავადებულთა რიცხვი რამდენიმე ათასს აღწევს. მათ შორის ბევრია მცირეწლოვანი გოგონებიც. ოფიციალური ცნობით, მხოლოდ ნეაპოლში ამ სენით 3 ათასზე მეტი ბავშვია დაავადებული. გაჭირვებითა და შიმშილით გაბოროტებული დედ-მამა, უსახსრობისა და გამოუვალი მდგომარეობის გამო, თავისი მცირეწლოვანი ბავშვებით ვაჭრობს.

კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელთა შვილებისათვის სწავლაც შეზღუდულია. კოლონიებში მცხოვრები მილიონობით ბავშვი დარჩენილია სკოლის გარეთ. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ბავშვების 50-80 პროცენტი დაწყებით სკოლაში არ ყოფილა. იტალიაში, განსაკუთრებით კი მის სამხრეთ ნაწილში, ბავშვები ვერ სწავლობენ სიღარიბის გამო. იტალიის ზოგიერთ რაიონში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი 80 პროცენტს აღწევს. ამერიკის შეერთებულ შტატებში მილიონობით ბავშვი არ სწავლობს. ისინი იძულებული არიან იმუშაონ, რომ თავი ირჩინონ.

1944 წელს ინგლისელ ხალხს დაპირდნენ საყოველთაო განათლების სახელმწიფოებრივ სისტემის შემოღებას. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა ინგლისური გაზეთი „ტაიმსი" აცხადებს: განათლების სამინისტროს აზრით საჭიროა ნახევარი საუკუნის დაუღალავი შრომა, რომ ინგლისელებს მიეცეთ საბუთი საკმარისი რაოდენობის დაწყებითი სკოლების დაარსების იმედი იქონიონო.

საფრანგეთის სასკოლო ფონდი კატასტროფულ მდგომარეობაშია. მისი აღდგენისათვის საჭიროა 10 მილიარდი ფრანკი. მაგრამ საფრანგეთის ახლანდელ მთავრობას ურჩევნია წელიწადში ასი მილიარდი ფრანკი დახარჯოს ვიეტნამში განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად, ვიდრე ფრანგი ბავშვების სწავლა-განათლებისათვის იზრუნოს.

შეუძლებელია ყველა იმ გაჭირვების ჩამოთვლა, რასაც კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა შვილები განიცდიან. ყველა ეს უბედურება ასკეცდება, როდესაც ომი მძვინვარებს.

რამდენი ბავშვი იმსხვერპლა ამერიკელთა მხეცურმა თავდასხმამ კორეაზე! სისხლისმღვრელი ომის გამჩაღებლებს ადამიანური გრძნობები არ გააჩნიათ. მათ მხოლოდ ერთი გრძნობა და მისწრაფება აქვთ — სხვისი სიცოცხლის ხარჯზე ჯიბე გაისქელონ, მონებად აქციონ დედამიწაზე მცხოვრები ყველა ხალხი და თავიანთი ქვეყნების ხალხებიც.

ომის გამჩაღებლები ამ შავბნელ ზრახვებს ვერ განახორციელებენ, რადგან მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები აღდგებიან მათ წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის წინამძღოლობით მთელი მსოფლიოს კეთილი ნების ადამიანები უფლებას არ მისცემენ ომის გამჩაღებლებს განახორციელონ თავიანთი ზრახვები.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, რაც 1 ივნისს ეწყობა, მთელი მსოფლიოს მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმებიან ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ, ხალხთა თავისუფლებისათვის, ბავშვთა სიცოცხლის გადარჩენისათვის.

ნინო ჯავახიშვილი-კომახიძე

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის წევრი

ბავშვები ჩვენი მომავალი, ჩვენი იმედია

ზრუნვა ადამიანზე, მის კეთილდღეობაზე საბჭოთა სახელმწიფოს ღვიძლ საქმეს წარმოადგენს. მაგრამ ბავშვები — ჩვენი ცხოვრების ეს ყვავილები — მაინც განსაკუთრებული მზრუნველობით, ყურადღებითა და სიყვარულით არიან გარემოსილნი.

ბოლშევიკური პარტია, საბჭოთა მთავრობა, საბჭოთა ხალხი ძალღონესა და საშუალებებს არ იშურებენ იმისათვის, რომ ჩვენი ბავშვები აღიზარდონ ჯანმრთელნი, მხნე, განათლებულნი, სულიერად ძლიერნი, პატიოსანნი და სამშობლოსადმი თავდადებულნი. მათი ბედნიერი აწმყოსა და ბრწყინვალე მომავლისათვის შრომობენ და იბრძვიან საბჭოთა ადამიანები.

ბავშვის დაბადება დიდი ბედნიერებაა ყოველ საბჭოთა ოჯახში.

ქალი — დედა პატივისცემითა და საერთო სიყვარულით სარგებლობს. სახელმწიფო ყოველმხრივ ეხმარება მას მომავალი მოქალაქის აღზრდაში.

სამამულო ომის მრისხანე წლებშიც კი, როდესაც სახელმწიფოს რესურსები მობილიზებული იყო მტრის განადგურებისათვის, ერთი წუთითაც არ შესუსტებულა ბავშვებზე ზრუნვა.

საბჭოთა კავშირში პირველად კაცობრიობის ისტორიაში შექმნილია საბავშვო დაწესებულებათა ჭეშმარიტად მასობრივი ქსელი. სამშობიარო სახლები, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, ბავშვთა სამზარეულოები, საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები და სახლები, ბავშვთა სანატორიუმები და საავადმყოფოები, აღჭურვილნი მეცნიერების ახალი მიღწევებით, ჩვენმა სამშობლომ ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვისა და მათი სწორად აღზრდის სამსახურში ჩააყენა.

სოციალისტურმა წყობილებამ უზრუნველყო ქალის მაღალი მდგომარეობა საბჭოთა საზოგადოებაში. ქალი აქტიურად არის ჩაბმული კომუნიზმის მშენებლობის ფერხულში. საბავშვო დაწესებულებათა ხშირი ქსელი ხელს უწყობს დედებს ეფექტიანად შეახამონ დედის მაღალი მოვალეობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ საქმიანობასთან.

მარტო საქართველოში 482 საბავშვო ბაღი მუშაობს, რომლებშიც 23.400 სკოლამდელი ასაკის ბავშვი იზრდება. მათ შენახვაზე სახელმწიფო ყოველწლიურად ათეულ მილიონობით მანეთს ხარჯავს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ხაზით ამ დანიშნულებით მხოლოდ 1951 წელს 45 მილიონზე მეტი მანეთი იხარჯება.

საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული მზრუნველობით არიან გარემოსილი უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები. რესპუბლიკის 49 საბავშვო სახლში მთავრობის სრულ კმაყოფაზე იზრდება 5.000-მდე უდედმამო ბავშვი, რომლებსაც სწავლისა და აღზრდის ყველა პირობა აქვთ. მათს შენახვაზე ყოველწლიურად იხარჯება 36 მილიონზე მეტი მანეთი. საბავშვო სახლში აღზრდილი ბევრი ახალგაზრდა დღეს თავისი კეთილსინდისიერი შრომით ამართლებს მთავრობის მიერ გაწეულ დიდ ზრუნვას.

საქართველოს 4.254 დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებში 699.829 მოსწავლეა. საბჭოთა ხელისუფლების დროს აგებული მრავალი ახალი სასკოლო შენობა ამშვენებს საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს. სკოლების მშენებლობაზე მხოლოდ 1950 წელს დაიხარჯა 7.468 ათასი მანეთი, კაპიტალურ და მიმდინარე რემონტზე—19.089.000, სასკოლო ინვენტარის შეძენასა და რემონტზე — 5.426 ათასი, ხოლო სასწავლო კაბინეტებისა და ბიბლიოთეკების შესავსებად — 6 მილიონამდე მანეთი. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რესპუბლიკის სკოლებისათვის გამოცემულია 4.720.400 ეგზემპლარი სახელმძღვანელო წიგნები.

რესპუბლიკის 118 სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულება — ქ. თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე, რაიონული პიონერთა სახლები, პიონერთა და მოსწავლეთა კულტურისა და დასვენების პარკები, ტექნიკური სადგურები, ნორჩ ტურისტთა ბაზები, საპორტო სკოლები და სხვ. ხელს უწყობენ ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას სკოლაში მიღებული ცოდნის განმტკიცება-გაღრმავებაში და თავისუფალი დროის გონივრულად გამოყენებაში. ამ დაწესებულებებზე მთავრობა ყოველწლიურად 14 მილიონამდე მანეთს ხარჯავს.

მუსიკალური სკოლები, მოზარდ მაყურებელთა და თოჯინების თეატრები და სხვ. აფართოებენ ბავშვების ცოდნის ჰორიზონტს, ხელს უწყობენ მხატვრული გემოვნების გამომუშავებას.

მომავალი თაობის აღზრდაში სკოლასა და მასწავლებელს აქტიურ დახმარებას უწევენ ჩვენი საბავშვო ბიბლიოთეკები, საბავშვო ლიტერატურა. საქართველოს საბავშვო და ახალგაზრდობის გამომცემლობამ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში გამოშვებული აქვს 995 სახელწოდების 5.743 ათასი ეგზემპლარი ქართული საბავშვო წიგნი. ჩვენი პიონერების საყვარელი გაზეთი „ნორჩი ლენინელი", ჟურნალები „დილა" და „პიონერი" ზრდიან ახალგაზრდობაში პატიოსნების, ბეჯითობის, შრომისმოყვარეობის ჩვევებს, უნერგავენ ღრმა სიყვარულს საბჭოთა სამშობლოსადმი.

ბავშვთა სპეციალური საავადმყოფოები, რომელთა რიცხვი საქართველოში 14 აღწევს, და ბავშვთა 23 სანატორიუმი ჩვენი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის დაცვის სადარაჯოზე დგანან.

ბავშვთა გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებას წარმოადგენენ აგრეთვე ჩვენი სატყეო სკოლები. საკურორტო ადგილებში მოთავსებული ეს სკოლა-სანატორიუმები ხელს უწყობენ სუსტი ჯანმრთელობის ბავშვებს სანატორიულ მკურნალობასთან ერთად წარმატებით განაგრძონ სწავლა სკოლაში. საქართველოში ორი სკოლა-სანატორიუმი არსებობს: ერთი—პატარა ცემში, თვალწარმტაც ბუნებაში, ხოლო მეორე — ქობულეთში, ზღვის სანაპიროზე. მათს შენახვაზე ყოველწლიურად ორ მილიონზე მეტი მანეთი იხარჯება.

მილიონები იხარჯება ყოველწლიურად ბავშვთა საზაფხულო გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე. მიმდინარე წელს რესპუბლიკის პიონერთა ბანაკებსა და მოედნებში გაიგზავნება 83.541 ბავშვი.

ამჟამად სკოლებში მიმდინარეობს მთელი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შეჯამება. წელს რესპუბლიკის საშუალო სკოლებს 13.058 მოსწავლე ამთავრებს. დედაქალაქის სკოლებში გამოცდაზე გამოცხადებული 2.440 მოსწავლიდან ქართულ წერაში ნიშანი „5" მიიღო 574 მოსწავლემ, ნიშანი „4"—821 მოსწავლემ. თემის გაშლა, აზრის ლოგიკური თანმიმდევრობა, საკითხების გაშუქების სიღრმე, ენის სიწმინდე, რაც საგამოცდო ნაწერების უმრავლესობას ახასიათებს, აშკარად ადასტურებენ კურსდამთავრებულთა მიერ მასალის ღრმა და საფუძვლიან ცოდნას და სკოლისა და მასწავლებლის სისტემატურ, ბეჯით მუშაობას.

სკოლის მუშაობის ეს შემაჯამებელი პერიოდი ადასტურებს, რომ რესპუბლიკის სკოლები აძლევენ ბავშვებს მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნას, უნერგავენ შრომისადმი სიყვარულს, აყალიბებენ მათ მსოფლმხედველობას, ზრდიან ახალგაზრდა მოქალაქეებს საბჭოთა პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც მტკიცედ მიდიან სოციალიზმის გზით, საბჭოთა ხალხისაგან სწავლობენ სამშობლოს ღირსეული შვილების აღზრდას.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მომხდარმა ღრმა სოციალურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა ძირფესვიანად შეცვალეს ცხოვრების პირობები. ამ ქვეყნების მიერ გამოცემულ პირველ კანონთა შორის არის კანონი ერთიანი სახელმწიფო სკოლისა და მისი დემოკრატიზაციის შესახებ.

მზრუნველობით და ყურადღებით არიან გარემოსილი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ალბანეთის ბავშვები. ასევე ითქმის ჩინეთის, მონღოლეთის და ჩრდილოეთ კორეის, აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ბავშვების შესახებ. იმპერიალიზმის უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებში გაშლილია სკოლების, საბავშვო დაწესებულებათა უდიდესი მშენებლობა. ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში შენდება გიორგი დიმიტროვის ინიციატივით დაწყებული ბავშვთა ქალაქი. აქ იქნება კლუბი, თეატრი, კინო ბავშვებისათვის, სტადიონი, საფრენოსნო მინდორი, ქალაქის შუაგულში მოთავსებულ აუზში მოეწყობა ბავშვთა სანაოსნო სადგური. აქვე იქნება საბავშვო რკინიგზა, ნორჩ ტექნიკოსთა სადგური, ლაბორატორიები და სხვ. ბავშვთა ამ ქალაქში ერთდროულად დაისვენებს 5 ათასი ბავშვი. საბჭოთა ქვეყნისადმი მხურვალე სიყვარულით არის გამსჭვალული სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბავშვების წერილები ჩვენი პიონერებისადმი.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ჩინეთის ხალხმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა, მაგრამ იქ ბავშვებისათვის უკვე ბევრი რამ გაკეთდა. სადაც წინათ ბავშვების 90 პროცენტი არ სწავლობდა, სადაც ბავშვებით ვაჭრობა დაკანონებული იყო, სადაც მილიონობით ბავშვები მშიერი დაეხეტებოდნენ, დღეს ახალი, ბედნიერი ცხოვრება ჩქეფს. სახალხო ხელისუფლება, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხსნის საბავშვო ბაგებს, ბაღებს, სახელმწიფო სკოლებს, ამზადებს მასწავლებელთა კადრებს და სხვა.

აღზარდონ ბავშვებში კეთილშობილური მისწრაფება მშვიდობისადმი, თავისუფლებისა და ხალხთა მეგობრობისადმი — ასეთ მიზანს ისახავენ იმპერიალისტური მონობისაგან განთავისუფლებული ხალხები.

იმპერიალისტურ ქვეყნებში ყოველწლიურად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნობანი სამხედრო საჭიროებისათვის, ხოლო ხალხის ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის განკუთვნილი თანხები მკვეთრად მცირდება. მძიმე და აუტანელია კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა და მათი ბავშვების ხვედრი. კაპიტალიზმი არ ზოგავს მცირეწლოვან ბავშვებს. ისინი მუშაობენ მაღაროებსა და შახტებში, ფაბრიკა-ქარხნებსა და პლანტაციებში. მათი ბავშვობის ძვირფასი წლები მძიმე შრომაში მიმდინარეობს. კაპიტალისტებმა მათ წაართვეს ბედნიერი ბავშვობა.

მშრომელთა შვილები, გაერთიანებულნი ახალგაზრდობის დემოკრატიულ ორგანიზაციებში, აქტიურად გამოდიან შიმშილის, აუტანელი სიღარიბისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის დაწესების ინიციატივა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას ეკუთვნის.

ქალებმა — დედებმა მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს ყველა პატიოსან ადამიანს დაიფარონ ბავშვები არაადამიანური კაპიტალისტური ექსპლოატაციისაგან, ახალი სისხლისმღვრელი ომის საშინელებისაგან, რომელსაც ამერიკელი იმპერიალისტები და მათი დამქაშები უმზადებენ მსოფლიოს.

დავიცვათ ჩვენი ბავშვები! — დედების გულიდან აღმომხდარ ამ ხმას უერთდება მთელი მსოფლიოს მილიონობით პატიოსან ადამიანთა ხმები.

დავიცვათ ბავშვთა სიცოცხლე! უზრუნველვყოთ მათი ბედნიერი მომავალი!—წერია მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიანი არმიის დროშაზე.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მთელი მსოფლიოს მშრომელ დედათა თვალები მიპყრობილია მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოსაკენ — საბჭოთა კავშირისაკენ, რომელიც მშვიდობის დიდი მედროშეა, სადაც ბავშვობა ბედნიერი, ლაღი და მხიარულია, სადაც ყოველივე საუკეთესო ბავშვებისათვის არის განკუთვნილი, სადაც კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა ხალხის მზრუნველობით და სიყვარულით გარემოსილი ბავშვები იწრთობიან და იზრდებიან საყვარელი სამშობლოს ღირსეულ მოქალაქეებად.

1951 წელს ბავშვთა საერთაშორისო დღე, პირველი ივნისი, ჩატარდება მშვიდობისათვის ბრძოლის, ახალი ომის ინგლისელ-ამერიკელ გამჩაღებელთა წინააღმდეგ საზოგადოებრივი ძალების კიდევ უფრო ფართოდ დარაზმვის ნიშნით.

მილიონობით ადამიანებს შეგნებული აქვთ, რომ ბრძოლა მშვიდობისათვის ნიშნავს ბავშვების დაცვას, კაცობრიობის მომავლის გადარჩენას.

მშვიდობის მომხრეთა ძალები აურაცხელია, მშვიდობის, სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკი სძლევს ომისა და რეაქციის ბანაკს, რადგანაც მშვიდობის მომხრეთა მრავალმილიონიან არმიას ხელმძღვანელობს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ბრძენი ბელადი და მასწავლებელი, ბავშვების მოყვარული და მზრუნველი მამა დიდი სტალინი!

მ. ბურჯულაძე

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 30 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 30 მაისს გამოაქვეყნა ცნობა, რომ ფრონტის ყველა უბანზე სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეებთან მჭიდრო თანამოქმედებით განაგრძობენ ამერიკელ-ინგლისელ ინტერვენციონისტთა ჯარების გააფთრებულ კონტრიერიშების მოგერიებას.

დღეს სახალხო არმიის საარტილერიო ნაწილებმა აღმოსავლეთ სანაპიროზე სერიოზულად დააზიანეს მტრის ხომალდები — სახაზო გემი „ნიუ-ჯერსი" და საესკადრო ნაღმოსანი „ბრინკლი ბესი", რომლებმაც სცადეს შეცურებოდნენ ვონსანის ნავსადგურში.

კორეელი ხალხის სიფხიზლე

ფხენიანი, 30 მაისი. (საკდესი). კორეელი ხალხი დიდ სიფხიზლეს იჩენს და ენერგიულ ბრძოლას ეწევა ჯაშუშებისა და დივერსანტების წინააღმდეგ, რომლებსაც ამერიკელი აგრესორები კორეის სახალხო არმიის ზურგში გადმოსხამენ ხოლმე თვითმფრინავებით. ადგილობრივი მოსახლეობა მალე იჭერს და სპობს მათ.

ამ ბოლო დროს გლეხთა სიფხიზლის მეოხებით ჩრდილოეთ კორეის სხვადასხვა რაიონში აღმოაჩინეს და შეიპყრეს თვითმფრინავებიდან გადმოსხმული 7 ამერიკელი დივერსანტი-პარაშუტისტი.

ამერიკელ აგრესორთა მხეცობა კორეაში

ფხენიანი, 29 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ნოდონ სინმუნ" მოჰყავს კორეაში ამერიკელ აგრესორთა მხეცობის ახალი ფაქტები. სამხრეთ ხამგენის პროვინციის ხანჯეს მაზრის სოფელ სონსარში, იუწყება გაზეთი, იპოვნეს ორმო, რომელშიც იყო ამერიკელი ინტერვენტების მიერ მხეცურად დახოცილი კორეელი პატრიოტების 50-ზე მეტი გვამი. მხეცური მკვლელობა მოხდა ამერიკელი დამპყრობლების მიერ სოფლის ოკუპაციის დროს. მოკლულთა შორის არის 2 წლის ბავშვის დედა ხონ ჩენ პე, რომელსაც მოჭრილი აქვს ძუძუები, პატრიოტი ჯუ სონ ხვანი, რომელსაც ყელში გაყრილი აქვს ამერიკული დანა და სხვ.

ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედება მთელი კორეელი ხალხის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს.

მასობრივი დემონსტრაცია თეირანში ირანის საშინაო საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ

თეირანი, 30 მაისი. (საკდესი). გუშინ, ირანის მთავრობასა და ინგლის-ირანის ნავთის კომპანიას შორის 1933 წლის საკონცესიო ხელშეკრულების ხელმოწერის 18 წლისთავზე, თეირანში გაიმართა მასობრივი სახალხო დემონსტრაცია, რომელმაც სამნახევარ საათს გასტანა.

დემონსტრანტთა კოლონებმა, რომლებსაც მოჰქონდათ პლაკატები და ტრანსპარანტები ანტიიმპერიალისტური ლოზუნგებით, ჩაიარეს ქალაქის ცენტრალური ქუჩებით და მივიდნენ მეჯლისის შენობასთან, სადაც მოედანზე გაიმართა გრანდიოზული მიტინგი 80 ათასზე მეტი კაცის მონაწილეობით.

რეზოლუციაში, რომელიც მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს, მთავარ მოთხოვნად წამოყენებული იყო იმპერიალისტი დამპყრობლების სრული განდევნა ირანის მრეწველობიდან ნავთის მრეწველობის ნაციონალიზაციის დაუყოვნებლივი და უკომპრომისო განხორციელების გზით. რეზოლუციაში მტკიცე პროტესტია გამოთქმული ირანის საშინაო საქმეებში ინგლისისა და ამერიკის ჩარევის წინააღმდეგ. დემონსტრანტები და მიტინგის მონაწილენი აგრეთვე მოითხოვდნენ ქვეყანაში სამხედრო წესების გაუქმებას, პარტიების, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ყველა დემოკრატიული საზოგადოების თავისუფალ არსებობას, 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, ისეთი საარჩევნო კანონის მიღებას, რომელიც ირანის მთელი მოსახლეობისათვის უზრუნველყოფს თანასწორ უფლებებს.

იტალიაში თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგები

რომი, 30 მაისი. (საკდესი). დღეს დილით მოვიდა სრული (არაოფიციალური) ცნობები იმ პროვინციების 27 მთავარი ქალაქის თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგების შესახებ, სადაც კენჭისყრა 27 მაისს მოხდა. სულ 27 ქალაქში: მილანში, ბოლონიაში, ვენეციაში, გენუაში, ტრენტოში, ნოვარაში, სავონაში, ფორლიში, პეზაროში, ასკოლიპიჩენოში, სონდრიოში, ბერგამოში, ბრეშიაში, ანკონაში, ვერონაში, რავენაში, ვიჩენცაში, პავიაში, იმპერიაში, კომოში, კრემონაში, მანტუაში, ვარეზეში, პადუაში, ტრევიზოში, როვიგოსა და მაჩერატაში — მიცემული იყო 2.607.364 ნამდვილი ბიულეტენი. დემოკრატიულმა პარტიებმა (კომუნისტურმა, სოციალისტურმა პარტიებმა და მათ მომხრეთა ადგილობრივმა სიებმა) მიიღეს 1.026.944 ხმა. 1948 წლის 18 აპრილის არჩევნებში სახალხო დემოკრატიულმა ფრონტმა ამ ქალაქებში მიიღო 957.817 ხმა.

მთავრობის ბლოკის ყველა პარტიამ საერთოდ მიიღო 1.396.795 ხმა, მაშინ როცა 1948 წელს ამ ბლოკის ყველა პარტიებმა იმავე ქალაქებში 1.683.407 ხმა მიიღო.

თავაშვებული ანტიკომუნისტური დევნის ვითარება, რაც იტალიაში ქრისტიანმა დემოკრატებმა შექმნეს, ხელსაყრელია ფაშისტების, მონარქისტებისა და სხვა უკიდურესი მემარჯვენე ელემენტებისათვის, რომლებმაც, როგორც არჩევნების შედეგები ცხადყოფს, მათ მიერ მიღებული ხმების რაოდენობა გაადიდეს მმართველი პარტიის ხარჯზე. 27 ქალაქში არჩევნების შედეგები აგრეთვე გვიჩვენებენ, რომ ძალთა შეფარდება იტალიაში ძირეულად შეიცვალა 1948 წელთან შედარებით. თუ მაშინ მარტო ქრისტიან დემოკრატთა პარტიას უმოკავშირეებოდ ამ ქალაქებში საერთო რაოდენობით 1.228.080 ხმა ჰქონდა სახალხო დემოკრატიული ფრონტის მიერ მიღებულ 957.817 ხმასთან შედარებით, ამა წლის 27 მაისის არჩევნებში დემოკრატიულმა პარტიებმა მიიღეს 1.026.944 ხმა, ხოლო ქრისტიანმა დემოკრატებმა—889.332 ხმა. მშრომელთა პარტიებმა უმრავლესობა შეინარჩუნეს ხუთი პროვინციული ცენტრის — ბოლონიის, სავონის, პეზაროს, მანტუის, როვიგოსა და მთელი რიგი სხვა იმ დიდი ქალაქების მუნიციპალიტეტებში, რომლებიც პროვინციის ცენტრები არ არიან.

10 ქალაქის: გენუის, ვენეციის, ნოვარის, ფორლის, ანკონის, რავენის, პავიის, იმპერიის, კრემონისა და ვარეზეს თვითმმართველობის ორგანოები, სადაც წინათ მემარცხენე უმრავლესობა იყო, ახალი საარჩევნო კანონის ძალით გადავიდა ხელოვნურად შეკოწიწებული „უმრავლესობის" ხელში, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატები მეთაურობენ.

გაზეთი „უნიტა" კომენტარს უკეთებს რა იტალიაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების შედეგებს, აღნიშნავს, რომ სახალხო ბლოკი, რომელიც 18 აპრილის არჩევნების დროს შეიქმნა, არა მარტო ცოცხლობს და მოქმედებს იტალიაში, არამედ მის პოზიციებს არჩევნების დროს ოდნავი ზიანიც არ მოსვლია.

ყველა პროვინციაში, სადაც არჩევნები მოხდა, ამ ბლოკმა წინანდელზე მეტი ხმა შეაგროვა.

საერთაშორისო შეთანხმების დარღვევა

შეიქმნა დასავლეთ გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობა

ბერლინი, 30 მაისი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო ბონიდან იუწყება, იქ იქმნება დასავლეთ გერმანიის ახალი არმიის უმაღლესი სარდლობა სახელწოდებით — „სასაზღვრო დაცვის ბონის სამეთაურო პუნქტი". ეს „პუნქტი" დროებით იქნება დასავლეთ გერმანიის იმ საპოლიციო არმიის ცენტრალური სამეთაურო ორგანო, რომელიც ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ეიზენჰაუერის არმიისათვის განკუთვნილი დასავლეთ გერმანიის შენაერთების ბირთვს წარმოადგენს. სახელწოდებით „საშუალო რანგის სასაზღვრო დაცვის ორგანოები" იქმნება ჯარის ჯგუფების სამი სამეთაურო პუნქტი. საქმე ეხება ჯარების ჯგუფების „ვესტის", „ნორდისა" და „ზიუდის" სარდლობას, რომელთა რეზიდენციაც იქნება: პირველისა—ბონში, მეორისა — ჰანოვერში და მესამისა—ნიურნბერგში. ამ უმაღლესი სამეთაურო ორგანოების შექმნით, რომელთაც ექვემდებარება 12 „სათავდაცვო" ოლქი, 5 „სათავდაცვო" ინსპექცია და 29 „სათავდაცვო" რაიონი, მთავრდება დასავლეთ გერმანიის ახალი ჯარის სარდლობისა და საჯარისო ადმინისტრაციის ორგანიზაციული ჩამოყალიბება.

გარდა ამისა, შექმნილია სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობა სახელწოდებით „საზღვაო სასაზღვრო დაცვის განყოფილება", რომლის რეზიდენციაც ნოიშტადტ-ჰოლშტაინშია, ლუბეკის ბუხტში. საზღვაო ბაზას თავდაპირველად სამი ფლოტილია ეყოლება. ვილჰელმსჰაფენის სამხედრო ნავსადგურში სასწავლო ფლოტილია იქნება.

სახელწოდებით „სასაზღვრო დაცვის სამშენებლო განყოფილება" შეიქმნება სასანგრო სამსახურის ინსპექცია. მის კომპეტენციას უნდა შეადგენდეს საპოლიციო არმიის ყველა ტექნიკური საკითხი. ამავე დროს შეიქმნება არმიის ინფორმაციის სამსახური, რომლის ოფიციალური სახელწოდებაა „უშიშროების საინფორმაციო სამსახური".

გათვალისწინებულია შეიქმნას გაფართოებული რადიოქსელი. ბონის მუდმივ რადიოსადგურთან ერთად უმაღლესი სარდლობის განკარგულებაში იქნება მოძრავი რადიოგადამცემები, რომელთა საშუალებითაც სარდლობა შეძლებს ყოველთვის დაუკავშირდეს ჯარის ჯგუფების სარდლობასა და ჯარის ყველა ნაწილს.

ეგრეთწოდებული სასაზღვრო დაცვა სავსებით მოტორიზებული უნდა იყოს, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს შეასრულოს დასავლეთ გერმანიის ახალი არმიის ბირთვის ამოცანები. თავდაპირველად ამისათვის საჭირო იქნება 2.700 ავტომანქანა.

გუშინ ლუბეკის „ჰუბერტუსის" ყაზარმაში თავი მოიყარა 1.200 მომავალმა ოფიცერმა და უნტერ-ოფიცერმა. 4 კვირის განმავლობაში მათ გააცნობენ რეკრუტების მომზადების წესებსა და ჯარის ახალი ნაწილების ორგანიზაციას. 1 ივლისიდან უნდა დაიწყოს პირველი 3.000 რეკრუტის სწავლება. დანარჩენი 5.000 ახალგაზრდა ჯარისკაცი შეუერთდება სასაზღვრო დაცვას აგვისტოს დამლევისათვის, ისე, რომ პირველი დივიზია 10.000 კაცის შემადგენლობით შეიქმნება არაუგვიანეს სექტემბრის დამდეგისა.

„შინაგანი უშიშროების" საკითხთა მთავარი განყოფილების ხელმძღვანელმა ბონის შინაგან საქმეთა სამინისტროში ეგიდიმ, რომელმაც ეს ინტერვიუში აცნობა ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს, შემდეგ განაცხადა, რომ დღემდე შემრჩევი კომისია გაიარა 46.000 რეკრუტმა, მაგრამ მათ შორის ცოტანი იყვნენ ახალგაზრდები, რადგან მათ დიდი სურვილი არა აქვთ ჯარისკაცები გახდნენ.

ბელგიელ ქალთა მშვიდობის დაცვის ეროვნულ კონგრესზე

ჰააგა, 30 მაისი. (საკდესი). გაზეთი „როდე ფაანე" იუწყება, რომ ბრიუსელში გაიხსნა ბელგიელ ქალთა მშვიდობის დაცვის ეროვნული კონგრესი. დარბაზი, სადაც კონგრესი მიმდინარეობს, მორთულია ლოზუნგებით, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობისათვის, ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადებისათვის ბრძოლისაკენ. კონგრესზე ასობით ქალი შეიკრიბა ბელგიის ყოველი კუთხიდან. კონგრესზე მიწვეული იყვნენ აგრეთვე უცხო ქვეყნების წარმომადგენლები, მაგრამ ბელგიის ხელისუფლებმა არ შეუშვეს ისინი ბელგიაში. საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის დელეგაციებს ბელგიის მთავრობამ უარი უთხრა შესასვლელი ვიზების მიცემაზე. ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი, რომელმაც მიიღო ვიზა ბელგიის დესპანისაგან პრაღაში, ბელგიაში ჩასვლის შემდეგ პოლიციამ დააკავა. მას წინადადება მისცეს პირველივე თვითმფრინავით დაბრუნებულიყო ჩეხოსლოვაკიაში. საზღვარზე დააკავეს და უკან გააბრუნეს საფრანგეთის, იტალიისა და ჰოლანდიის ქალთა დელეგაციები.

შენობას, სადაც კონგრესი მიმდინარეობს, გარს არტყია პოლიციის დიდი ძალები. მაგრამ, ამ პოლიციური ზომების მიუხედავად, კონგრესი ორგანიზებულად დაიწყო და დიდი აღმავლობით მიმდინარეობს. კონგრესის მონაწილეებმა თავიანთ გამოსვლებში დაგმეს ბელგიის მთავრობის სამარცხვინო მოქმედება, მიმართული კონგრესის ჩაფუშვისაკენ. „ჩვენ ვერავითარი რეპრესია და მუქარა ვერ შეგვაშინებს —განაცხადა „ბელგიელ ქალთა მშვიდობის დაცვის კავშირის" მდივანმა ბრენფომ.—ადამიანები, რომელთაც მშვიდობა სწყურიათ, არასოდეს არ დადუმდებიან და იბრძოლებენ ომის მზადების წინააღმდეგ".

პანჩენ-ლამასა და მასთან არსებული საბჭოს წევრების განცხადება

პეკინი, 30 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ პანჩენ-ლამამ და მასთან არსებული საბჭოს წევრებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომ მხარს უჭერენ შეთანხმებას ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ. განცხადებაში ნათქვამია:

ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ დამაკმაყოფილებელი შეთანხმება დადო ტიბეტის ადგილობრივ მთავრობასთან ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების საკითხზე. ახლა ტიბეტელმა ეროვნებამ მოიშორა იმპერიალიზმის ბორკილები და დაუბრუნდა დიდი სამშობლოს დიდ ოჯახს. ჩინეთის სხვადასხვა ეროვნება სიხარულით შეხვდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას. ჩვენ ტიბეტელი ეროვნების წარმომადგენლები, სიტყვები არა გვყოფნის გამოვთქვათ ჩვენი სიხარული. შეთანხმება, რომელიც ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ ტიბეტის ადგილობრივ მთავრობასთან დადო, ნიშნავს ტიბეტის წინააღმდეგ იმპერიალისტური აგრესიის ჩაშლას, ტიბეტელი ეროვნებისა და ჩინეთის სხვა ეროვნებათა ერთიანობას, და თვით ტიბეტელი ეროვნების ერთიანობას. ახლა ტიბეტელი ეროვნება ახალ ისტორიულ ეპოქაში შედის.

ცენტრალური სახალხო მთავრობისა და ტიბეტის ადგილობრივი მთავრობის შეთანხმება ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების ღონისძიებათა შესახებ სავსებით შეესაბამება ჩინეთის ყველა ეროვნების ინტერესებს და განსაკუთრებით ტიბეტელი ეროვნების ინტერესებს. ამ შეთანხმების დადებას ჩვენ დიდად უნდა ვუმადლოდეთ უწინარეს ყოვლისა თავმჯდომარე მაო ძე-დუნს, ჩვენს დიდ სახალხო ბელადს, რომელიც ბრწყინვალედ გვხელმძღვანელობს და მამობრივად ზრუნავს ტიბეტელი ეროვნებისათვის. ჩვენ მადლობას ვუძღვნით აგრეთვე ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიასა და ჩინეთის ყველა ხალხს. სწორედ მათი თანმიმდევრობის წყალობით, იმ დამარცხების მეოხებით, რომელიც მათ აგემეს იმპერიალისტებსა და გომინდანის რეაქციულ რეჟიმს, შესაძლებელი გახდა ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლება. ამავე დროს სწორედ იმ დღეს, როცა მე-14 დალაი-ლამამ მიიღო მთელი სამოქალაქო ხელისუფლება, იგი გამოეხმაურა ცენტრალური სახალხო მთავრობის მოწოდებას ტიბეტის მშვიდობიანი განთავისუფლების შესახებ და დელეგატები გაგზავნა პეკინში მოლაპარაკების საწარმოებლად და შეთანხმების ხელმოსაწერად. ეს დიდი პატივისცემის ღირსია.

ტიბეტელი ეროვნების სრული განთავისუფლებისა და აყვავებისათვის, ჩინელი ხალხის გამარჯვების განმტკიცებისათვის ჩვენ გადავწყვიტეთ მხარი დავუჭიროთ თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობას, ცენტრალური სახალხო მთავრობის ხელმძღვანელობასა და ჩინეთის კომუნისტურ პარტიას. ჩვენ ვეცდებით ზუსტად განვახორციელოთ შეთანხმება, ტიბეტელი ეროვნების ერთიანობა ჩინეთის ყველა სხვა ეროვნებასთან და თვით ტიბეტელი ხალხის ერთიანობა.

მშვიდობის პაქტისათვის!

შოტლანდია

შოტლანდიაში დიდი წარმატებით მიმდინარეობს ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ხელმოწერის შეგროვების კამპანია.

მშვიდობის დაცვის შოტლანდიის კომიტეტმა მიზნად დაისახა შეაგროვოს კამპანიის პირველ კვირაში 20.000 ხელმოწერა მიმართვაზე. უკანასკნელი ცნობებით, მარტო სამ რაიონში იმ 11 რაიონიდან, სადაც ხელმოწერის შეგროვების კამპანია მიმდინარეობს, მიმართვას უკვე მოაწერა ხელი 16.000-ზე მეტმა კაცმა.

ფინეთი

ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე ფინეთში უკვე შეგროვებულია 250 ათასზე მეტი ხელმოწერა.

ჰოლანდია

ჰოლანდიაში გრძელდება ხელმოწერა ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვაზე. დღემდე მიმართვას ხელი მოაწერა 103 ათასზე მეტმა კაცმა.

29 მაისი. (საკდესი).

გადამწყვეტი მატჩების წინ

შეჯიბრება სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

საქართველოს დედაქალაქში ცხელა. მაგრამ შეიძლება ითქვას—უფრო დიდი სიცხე არის თბილისის „დინამოს" სტადიონზე—ახლანდელი ბრძოლები ხომ პირველი წრის შედეგის გადამწყვეტია!

ჩვენი ქვეყნის პირველობაზე ბევრი მატჩი მინახავს — მოსკოვში, თბილისში, კიევში, კუიბიშევში, სტალინოში... მე მგონია პირველობისათვის ბრძოლა არასოდეს არ ყოფილა ასე დაძაბული, ასე მწვავე და ამაღელვებელი. გავიხსენოთ თუნდაც ერთ-ერთი პირველი მატჩი, რომელიც შედგა აქ—საქართველოს დედაქალაქში. თბილისის და მოსკოვის დინამოელთა მატჩი აღსავსე იყო მწვავე სპორტული ბრძოლითა და დრამატული მომენტებით. თბილისელებმა მაშინ შეხვედრა წააგეს, მაგრამ ყველა, ვინც კი ამ თამაშს დაესწრო, გრძნობდა, რომ ამაში ერთგვარი როლი „სატურნირო ბედმაც" შეასრულა. ამ დამარცხების შემდეგ თბილისელები შედარებით თანაბრად, მაღალი სპორტული დონით ატარებენ მატჩებს და იგებენ შეხვედრებს. მხოლოდ ორ შემთხვევაში მატჩი ფრედ დამთავრდა.

სატურნირო ცხრილში თბილისის „დინამოს" გუნდის წინსვლას თუ დავაკვირდებით, შეიძლება გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა. პირველივე მატჩებიდან გუნდი თამაშს კარგი ტემპით ატარებს. გარდა ამისა, იგი იცვლის თამაშის სტილს. მის თამაშში უკვე შესამჩნევია კოლექტიური აზრი, კოლექტიური მისწრაფება გამარჯვებისაკენ. აღსანიშნავია, რომ დინამოელებს წინათაც ბევრი კარგი თვისება ჰქონდათ, გუნდი წინათაც მაღალი კლასით თამაშობდა, მაგრამ გუნდის ნაკლი იყო ზოგჯერ ინდივიდუალური თამაშით ზედმეტი გატაცება, ბურთის ზედმეტად დაყოვნება, რაც ტემპის შენელებას იწვევდა.

უდაოა, რომ ახლა თბილისის „დინამო" ბევრად უკეთ თამაშობს, ვიდრე წინა წლებში. ამას მჭევრმეტყველურად მოწმობს შედეგებიც. ათ გაცილებულ თამაშში თბილისელებმა გაიტანეს 30 ბურთი, რაც ერთნახევარჯერ მაინც აღემატება იმას, რის მიღწევაც რომელიმე სხვა გუნდმა შეძლო. მაგრამ მაინც თავდამსხმელთა დარტყმები მთლად ზუსტი ვერ არის. მაგალითად, მოსკოვში სამხედრო-საზღვაო ძალების ფეხბურთელთა წინააღმდეგ თბილისელებმა, რომლებსაც უდიდესი უპირატესობა ჰქონდათ ბურთის გატანის შესაძლებლობის მხრივ, ეს უპირატესობა ვერ გამოიყენეს.

თბილისის დინამოელებს სხვებზე მეტი აქვთ ნათამაშევი ერთი მატჩი. მათ შეაგროვეს 16 ქულა და დაკარგეს მხოლოდ 4. ვფიქრობ, გუნდი და მისი მწვრთნელი სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ი. იაკუშინი ამ შედეგებით კმაყოფილი უნდა იყვნენ. მაგრამ დღევანდელ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გუნდისათვის. მისი მოწინააღმდეგეა ჩვენი ქვეყნის არაერთგზის ჩემპიონი — საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი.

არმიელმა ფეხბურთელებმა ჩაატარეს 9 მატჩი, რომლებშიც შეაგროვეს 13 ქულა, ე. ი. დაკარგეს 5 ქულა. არმიელები მუდამ კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ლიდერს და არასოდეს არ ჩამორჩენიან მას 2 ქულაზე მეტით. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის ფეხბურთელებმა, რომლებიც რამდენიმე დღის წინათ თბილისის „სპარტაკის" გუნდთან თამაშში ვნახეთ, ცხადყვეს, რომ ეს კარგად მომზადებული გუნდია და აპირებს სერიოზულად დაიცვას თავისი მაღალი წოდება. მართლაც, თამაში ჩემპიონის სასარგებლოდ არ მიმდინარეობდა, მაგრამ მატჩის მეორე ნახევარმა მისი უპირატესობით ჩაიარა. სამწუხაროა, რომ მსაჯი ტაველსკი ზუსტად ვერ სჯიდა მატჩს, რამაც თამაშისაგან მიღებული შთაბეჭდილება შეასუსტა.

ორ ლიდერ გუნდს ზოგიერთი რამ საერთო აქვს. ორივე გუნდი თამამად უშვებს ნახევარდამცველებს მოწინააღმდეგის კარისაკენ. ამას გაბედულად და მოულოდნელად აკეთებენ ანთაძე და პანიუკოვი, ვოდიაგინი და პეტროვი. არმიელები თავდასხმაში ხშირად უშვებენ თავიანთ დამცველებს. მაგრამ შესაძლებელი იქნება თუ არა ამ გაბედული ტაქტიკის გამოყენება ისეთი სწრაფი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც თბილისის დინამოელები არიან? შეიძლება თუ არა უმეთვალყურეოდ დატოვო სწრაფი ჯოჯუა? შესაძლებელი იქნება თუ არა დაიწყო ნიკოლაევს ან ჩაიჩუკს? ეს კითხვები თავისთავად ისმება გუნდების წინაშე. გვსურს ვნახოთ აგრეთვე მწვრთნელების მ. იაკუშინისა და მისი ყოფილი მასწავლებლის ბ. არკადიევის ორთაბრძოლა.

ლიდერებთან ძალიან ახლოს დგანან გუნდები „კრილია სოვეტოვ" (კუიბიშევი) და „დინამო" (მოსკოვი). პირველი მათგანი ამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად იპყრობს ყურადღებას. გუნდი ამ სეზონში შეწყობილად და თავდადებულად თამაშობს. იგი კვლავ ლიდერთა რიცხვშია. ეყოფა თუ არა მას რეზერვები პირველობის მეორე ნახევრისათვის, რომელიც მოთამაშეთაგან უფრო მეტ დაძაბულობას მოითხოვს? ვფიქრობ, ვოლგელები კვლავ შევლენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდების ათეულში.

მეორე გუნდი, რომელმაც მსოფლიოში გაითქვა სახელი უცხოეთის ბევრ მოედანზე თამაშით, გუნდი, რომელსაც არაერთხელ მოუგია ჩვენი ქვეყნის პირველობა და მოუპოვებია „სსრ კავშირის თასი", — ჯერჯერობით ამჟამად ფორმაში ვერ არის. მას ჰყავს ბევრი სახელგანთქმული მოთამაშე, მაგრამ არა ჰყავს კოლექტივი. შემადგენლობის უთანაბრობას შედეგად მოსდევს უთანაბრო თამაში. ამით იხსნება ყველა ის არასასიამოვნო რამ, რასაც მოსკოვის დინამოელები მოედანზე განიცდიან. უნდა ვიფიქროთ—უკანასკნელი წარუმატებლობა საწრაფო ღონისძიებებს მიაღებინებს გუნდს იმისათვის, რომ დაიცვას თავისი საზოგადოების ღირსება და სერიოზულად განაგრძოს ბრძოლა საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისათვის.

ლიდერთა ჯგუფში შედის კიევის „დინამოს" გუნდი. კიეველებს თამაშის თავიანთი სტილი ახასიათებთ. ლამაზი, სპორტული სტილი... სამწუხაროდ, უკანასკნელ წლებში კიეველთა თამაშის ხასიათი შესამჩნევად შეიცვალა და, სამწუხაროდ, გაუარესებისაკენ. ამ სეზონში ჯგუფის ახალმა მწვრთნელმა, რომელიც ოდესღაც ლენინგრადის ნაკრები გუნდის სპორტულ ღირსებას იცავდა, — სპორტის ოსტატმა ო. ოშენკოვმა მთელი რიგი გამაფრთხილებელი ზომები მიიღო. გუნდმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში. აქედან დაიწყო წარმატებებიც. კოლექტივში მეგობრობა—ეს ხომ წარმატების საწინდარია არა მარტო ფეხბურთის ან სხვა სასპორტო გუნდში, ეს ყოველი კოლექტივის წარმატების საწინდარია! კიეველები მხოლოდ ერთხელ დამარცხდნენ და, მიუხედავად გამარჯვებათა მცირე რაოდენობისა (სამი), შეაგროვეს 11 ქულა და დაკარგეს 7.

დონბასის „შახტიორის" საზოგადოების გუნდმა, რომელსაც ახლა ცხრილში მეექვსე ადგილი უჭირავს, სეზონი იმით დაიწყო, რომ ზედიზედ სამჯერ დამარცხდა. მე მომწონს ვიყავი, თუ რა შეუპოვრობით იბრძოდა გუნდი თითოეული ბურთისათვის, თვითეული დარტყმისათვის. გუნდმა მატჩები „ცდსა"-ს გუნდისა და მოსკოვის „სპარტაკის" გუნდის წინააღმდეგ დიდი ღირსებით ჩაატარა და მინიმალური ანგარიშით (1:0) წააგო. გუნდს მებრძოლური განწყობილება არ დაუკარგავს, და უკანასკნელი სამი მატჩის შედეგით ერთბაშად გამოასწორა საქმე. გუნდს 9 მატჩის შემდეგ აქვს 10 ქულა. უნდა აღინიშნოს გუნდის დამცველთა თამაში, რომლებმაც სეზონის დაწყებიდან თავიანთ კარში სულ 6 ბურთი გაუშვეს. ისინი არმიელებთან ერთად ერთგვარი „რეკორდსმენები" არიან!

პირველ ათეულში ამჟამად შედიან „ტორპედოს" (მოსკოვი), სამხედრო-საჰაერო ძალთა, „დაუგავას" და „ზენიტის" გუნდები. ყველა ამ გუნდს ქულების თითქმის თანაბარი რაოდენობა აქვს, თუმცა ისინი სხვადასხვანაირად თამაშობენ.

სატურნირო ცხრილში ზენიტელებს უშუალოდ მიჰყვებიან მოსკოვის სპარტაკელები (7 ქულა 9 თამაშის შემდეგ), ლენინგრადის დინამოელები (7 ქულა), გორკის ტორპედოელები (7 ქულა) და სამხედრო-საზღვაო ძალების გუნდი (6 ქულა). თუ უკანასკნელი ორი გუნდი ახლებია ა კლასის გუნდების ჯგუფში, სამაგიეროდ ლენინგრადის დინამოელებს და განსაკუთრებით მოსკოვის „სპარტაკს" მართებთ სერიოზულად დაუფიქრდნენ სატურნირო ცხრილს!

სატურნირო ცხრილის ბოლოშია თბილისის „სპარტაკის" გუნდი. სპარტაკელთა თამაში ჯერჯერობით ძლიერ სუსტია. ეს შეეხება ბურთის გადაცემის სიზუსტესაც, კარში დარტყმისათვის პასუხისმგებლობასაც (ნორაკიძე „ცდსა"-ს გუნდთან მატჩში), მწვრთნელის მოთხოვნათა შესრულების სიზუსტესაც. „ცდსა"-ს გუნდთან ჩატარებულმა მატჩმა ცხადყო, რომ თუ გუნდი ეცდება, შეუძლია გამოასწოროს თავისი მდგომარეობა. წინ ხომ მეორე წრეა. თითოეულ გუნდს, რომელმაც ესა თუ ის მარცხი განიცადა, ჯერ კიდევ შეუძლია გამოასწოროს თავისი მდგომარეობა!

ვად. სინიავსკი

საკავშირო რადიოინფორმაციის კომიტეტის სასპორტო კომენტატორი

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1224 და 59,52 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით).

2 ივნისს

6.45 — კონცერტი. 9.20 — რუსული ხალხური სიმღერები. 18.10 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები და რომანსები ოპერის თეატრის სოლისტის რ. გედევანიშვილის შესრულებით. 18.30 — ა. მირონოვის მოთხრობა „დოკერის ვაჟიშვილი". 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 19.30 — მოსკოვისა და თბილისის „სპარტაკის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდების მატჩის მეორე ნახევრის ტრანსლაცია თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30 — ქალაქის ქსელით — კამერული მუსიკის კონცერტი, რადიოსადგურებით—გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის. 20.45 — კონცერტი ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების დების იმხნელების შესრულებით. 21.10—საუბარი: „ამერიკის მონოპოლისტური კაპიტალიზმი აგრესიისა და ომის წყაროა". 21.30 — არიები რუსული ოპერებიდან. 21.55—კონცერტ-ლექცია „როსინი". 22.40 — ხრისტო ბოტევის ლექსები. 23.00 — საესტრადო მუსიკის კონცერტი. 24.00—საბალეტო მუსიკა.

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „პიკის ქალი" (მე-12 აბ. ვ. ვორობიოვას მონაწილეობით); **რუსთაველის სახელობის** — „პირველი ნაბიჯი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვარდო"; **სომხური დრამის** — „საიათ-ნოვა"; **მუსიკალური კომედიის**—„მზის დაბნელება"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ბაში-აჩუკი" (54-ე აბ. 3 ს. 30 წ.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—„მშვიდობის ვარსკვლავი" (11, 3 და 7 საათზე); **სანკულტურის თეატრი**—„ჩემი სილამაზე".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი", „კომკავშირელი" (საზაფხულო დარბაზი), **„ისანი", 26 კომისრის სახელობის** (საზამთრო დარბაზი), **კიროვის სახელობის**—„დაუმორჩილებელი ქალაქი".

მოსავლიანობის გამომრკვევი სახელმწიფო ინსპექცია აცხადებს კოლმეურნეობათა გამგეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ადმინისტრაციის, აგრეთვე ყველა მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 1951 წლის 1 ივნისიდან საქართველოს სს რესპუბლიკაში ეწყობა ყველა კატეგორიის მეურნეობათა ნათესი ფართობების აღრიცხვა, ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში აგრეთვე ჯიშიანი ნათესების აღრიცხვა.

აღრიცხვა ყველგან ეწყობა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული და საუბნო ინსპექტორების, სასოფლო და საქალაქო სტატისტიკურ სამმართველოთა მეშვეობით.

ყველა ორგანიზაცია ვალდებულია აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში არსებულ თავის დამხმარე მეურნეობათა სიები აცნობოს მოსავლიანობის გამომრკვევ თბილისის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციას (ფიროსმანის ქ. № 58), ხოლო დასავლეთ საქართველოში არსებულ მეურნეობათა სიები — სოხუმის სარაიონთაშორისო სახელმწიფო ინსპექციას — ქ. სოხუმი, მთავრობის სახლი.

აღრიცხვის ფორმა—ბლანკების (ფ. № 4) მისაღებად უნდა მიმართოთ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს, ე. ი. რაიონულ (საქალაქო) სტატისტიკურ სამმართველოებს.

ცნობები მოქალაქეთა ინდივიდუალური ნათესების შესახებ უნდა წარედგინოს რეგისტრატორ-აღმრიცხველებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 12 ივნისს, დღის 2 საათზე, ინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 10) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად **აპოლონ გიორგის-ძე ძნელაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„Выпадение матки и влагалища".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **ბ. ლოლობერიძე**, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი **პ. შუშანია** და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ლ. ელიაშვილი.**

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქ. № 2).

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

შაბათს, 2 ივნისს

ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრში

გაიმართება სამსახიობო ფაკულტეტის IV კურსის სადიპლომო სპექტაკლი

(სსრ კავშირის სახალხო არტისტის, პროფესორ **ა. ხორავას** კლასი)

ძმები ტური და ი. პირიევი **„ლუტონინების ოჯახი"**

პიესა 4 მოქმედებად.

დადგმა **ა. ხორავასი** (სსრ კავშირის სახალხო არტისტი), მხატვარი **ი. შტენბერგი** (ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე)

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში.

მოქალაქე **დავით ტრიფონის-ძე იაშვილმა**, მცხოვრებმა ნიხამის შესახვევი № 5, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ავქტის ასულ იაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს საქართველოს უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის პირველი ინსტანცია.

ნ. თუშიშვილი, ს. იაკობაშვილი, დ. ჯავახიძე, ლ. თხელიძე, დ. ფხაკაძე, ნ. ივანიშვილი, ლ. ფხაკაძე, რ. სარქისოვი, გ. ოისაძე, ი. ალბაზოვი, ვ. ცაგურიშვილი, ი. ჯავაშვილი იუწყებიან **ვალერიან აბელდიანის** გარდაცვალებას.

შვილები გუგული, გიორგი, კეკური, რძლები თამარ, თინა, სიძე დ. გაბრიაძე, შვილიშვილები მერი, ნუგზარ, ზურაბ და გიული იუწყებიან **ვერა როსტომის ასულ ბარბაქაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI, ქ. ზესტაფონში, ნინოშვილის, 31.

რ. ძიძიგური, ი. ჭოლოშვილი, მ. ზარიძე, გ. გაბაშვილი, გ. ორდენიძე, ა. სამოილოვიჩი, ა. ყურულაშვილი, ა. ჩობანოვი, ე. კეკუაშვილი, ლ. შელია თანაგრძნობას უცხადებენ ალ. ფანქველაშვილს მისი მეუღლის **ნინო პართენის ასულ ფანქველაშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე სონია, შვილები იოსებ, ილია, ვახტანგ, რძლები ნინო, თინა, ეენა, შვილიშვილები ზაირა, ქეთინო, უჩა, კეკური და გიორგი იუწყებიან **გიორგი იოსების-ძე რთველიაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI, ს. მეჯვრისხევში (გორის რ.).

მეუღლე ნინო, შვილები ქეთევან, ვახტანგ, რძალი ნ. ბერძენიშვილი, სიძე ვ. რაქვიაშვილი, შვილიშვილები მზია, გულნარა, მარინე, მერაბ იუწყებიან **ვასილ წყალობის-ძე სუხიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 3 ს. პასტერის, 7.

მეუღლე თამარ შარაშიძე-ჯაფარიძისა, დები ს. ჯაფარიძე, ნ. ჩიკვაიძე, ნ. გეგელია, ქ. კანდელაკი, ც. ქადეიშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ 3-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ანეპოდისტე ნესტორის-ძე ჯაფარიძის** პანაშვიდი.

საქართველოს ტექნიკური კულტურების სამინისტრო იუწყება სამინისტროს კოლეგიის წევრის, ლიმპანტრესტის მმართველის **ალექსანდრე პავლეს-ძე ცომაიას** გარდაცვალებას.

დედა პელაგია მეტონიძე, მეუღლე მარგარიტა ბარნოვი, ძმისწული ნათელა იუწყებიან, რომ 3-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **ნიკოლოზ ერმილეს-ძე მეტონიძის** პანაშვიდი.

ვახტანგ და თამარ გოჩიშვილები შვილებით გოჩა და ლიათი თანაგრძნობას უცხადებენ ი. რთველიაშვილს მისი მამის **გიორგი იოსების-ძე რთველიაშვილის** გარდაცვალების გამო.

მშობლები თეოდოსი და შუშანა, ძმა თენგიზ იუწყებიან **ოქრო ბოჟოიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VI, 8 ს. გამოსვენება 3-VI, 5 ს. კარაკლისის, 5.

მეუღლე თამარ, შვილები ვლადიმერ, სოსო, იუწყებიან **ლადიკ რომანოზის-ძე ჩიხლაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 8 ს. გამოსვენება 3-VI 4 ს. ელბაქიძის დაღმართი, 1.

შვილები ნინო, ნადია, თამარ, სიძე გ. ლაშხი, შვილიშვილი თემურ იუწყებიან, რომ 3-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **იოსებ იორდანეს-ძე ბოჟორიშვილის** პანაშვიდი.

მშობლები ქეთო, იაკობ ძულიაშვილები, და ზინა, სიძე გიორგი, დისწული დიტო ბოსტოაშვილები იუწყებიან, რომ 2-VI, 6 ს. თელავში დანიშნულია **თამარ იაკობის ასულ ძულიაშვილის** პანაშვიდი.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის თანამშრომლები იუწყებიან **ეთერ ხანდრის ასულ ლადუას** გარდაცვალებას.

მეუღლე ვალოდია, შვილები ნათელა, ცისანა, მზია ნანეიშვილები, და ნინო მესხი ოჯახით იუწყებიან, რომ 3-VI, 3 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **მაჩანია დიმიტრის ასულ მესხი-ნანეიშვილის** პანაშვიდი.

შვილები ნიკო, ვალერიან, რძალი ლარისა, მაზლები ივანე, სანდრო ლომსაძეები ოჯახებით იუწყებიან **მარო ზაქარიას ასულ ლომსაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 2-VI, ს. ჩუნჩხაში (ახალქალაქის რ.).

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრო იუწყება **ლადიკ რომანოზის-ძე ჩიხლაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე მარიამ, შვილები თამარ, ქსენია, სიძე ი. მაჩაბელი, შვილიშვილები ლევან, ოთარ, ლია, ირინა იუწყებიან, რომ 3-VI, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **საბა ივანეს-ძე ჩაჩუას** პანაშვიდი.

გ. ბედევანიშვილი, ვ. გოიშვილი, ა. გულისაშვილი, ლ. დასამიძე, ვ. კაკაბაძე, რ. ნიკოლაძე, ვ. ფხალაძე, გ. ქურდიანი, ი. ყიფშიძე, მ. ხანანაშვილი იუწყებიან **დოცენტ ვალერიან იასკის-ძე აბელდიანის** გარდაცვალებას.

შვილი გოგი, რძალი თამარ, შვილიშვილი ვახტანგ კობაიძეები იუწყებიან, რომ 3-VI, 2 ს. ს. ფასანაურში დანიშნულია **ალექსანდრა იაკობის ასულ კობაიძის** პანაშვიდი.

ვ. მირიანაშვილი, ქ. კაპანაძე, შ. ნუცუბიძე, ა. შედიაშვილი, ქ. ნაჭყებია, მ. გიორგაძე, ი. კახიანი თანაგრძნობას უცხადებენ ი. რთველიაშვილს მისი მამის **გიორგი იოსების-ძე რთველიაშვილის** გარდაცვალების გამო.

ძმები, კვავ ადამიები, ნადია ჩიქოვანი ოჯახით, მარიამ, პარასკევა, ნიკოლოზ, მარგარიტა, ცირა, მანია ბოკუჩავები, ნინო ტეხაშვილი იუწყებიან **ეთერ ხანდრის ასულ ლადუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI, ცხაკაიაში.

სიდედრი ფატა, სიმამრი კონსტანტინე, ცოლისდა ნინო, რძალი რაისა, ცოლისძმა გიორგი ცერცვაძეები იუწყებიან **არჩილ ბაძუს-ძე ქავთარაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VI, ძველ სენაკში (ცხაკაიის რ.).

დედა ქსენია, მეუღლე ანასტასია, შვილები თინა, ნიკოლოზ, რძალი თ. ბარათაშვილი, სიძე ო. რურუა და შვილიშვილები იუწყებიან, რომ 3-VI, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია **იასონ სოლომონის-ძე ცომაიას** პანაშვიდი.

ვ. მგელაძე, მ. ძენტი, ვ. ჩობელი, შ. გვეღესიანი, გ. მენთეშაშვილი, ვ. მამაჯანოვი, შ. დოლიძე, გ. ესაიანი, ვ. ფილდლუროვი, ზ. ზექარია, ნ. კორველიძე, გ. ცხორებაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ა. ყაჭეიშვილს მისი დედის ეკატერინეს გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდისა და პარტიული ცხოვრების—3-81-84, სასოფლო-სამეურნეოსი — 3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, კულტურისა და ყოფაცხოვრებისა და ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის — 3-80-83, სამრეწველო სატრანსპორტოსი და ინფორმაციის — 3-80-84, მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის — 3-77-70

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის, ქ. № 14.

უე 03203